# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 16 იანვარი  1996 №4 (369)  ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩივაძე წავიდა!

## 9 იანვარს ფედერაციის ხელმძღვანელები ერთხელაც ესაუბრნენ ჩივაძეს, რომელმაც კვლავ გამოთქვა თანამდებობიდან წასვლის სურვილი, რაზეც ისინი იძულებულნი იყვნენ დათანხმებოდნენ

სამშაბათს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი და გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში იყვნენ და დაახლოებით ორი საათი ესაუბრნენ დეპარტამენტის თავმჯდომარეს კახი ასათიანსა და მის პირველ მოადგილეს (იმავდროულად ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს) ჯანო ბაგრატიონს. საუბრისას შეხებიან დღევანდელ ქართულ ფეხბურთში არსებულ ყველა პრობლემას ნაკრების მთავარი მწვრთნელის საკითხიდან დაწყებული, ჩემპიონატის რესტრუქტურიზაციით და ბაზებით დამთავრებული. ორ საათში პრობლემები არ წყდება, ეს აშკარაა, მითუფრო ისეთი შეხვედრისას, სადაც მაგიდასთან სხდება ორი მხარე, რომელთა უწინდელ ურთიერთობას მჭიდროს და შემოქმედებითს ვერ უწოდებ. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ ფეხბურთის ფედერაცია დეპარტამენტისგან, ფაქტობრივად, განდგომილი იყო და მის ხელმძღვანელებს თავის საქმიანობაში არ რევდა. ამ ორ სტრუქტურას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობა დეპარტამენტს კანონის გამოყენებით შეეძლო მოეგვარებინა, კერძოდ, შეეჩერებინა ფედერაციის საქმიანობა და მისი რიგგარეშე ყრილობა მოეწვია, მაგრამ ამას წინ ეღობებოდა ისეთი გავლენიანი ორგანიზაცია, როგორიცაა უეფა. აზერბაიჯანსა და ალბანეთში, სადაც სახელმწიფომ ამ მეთოდით სცადა ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევა, მწარე გაკვეთილი მიიღეს. უეფამ კატეგორიულად მოითხოვა ყველაფრის ძველებურად აღდგენა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ამ ქვეყანათა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებებიდან მოხსნით დაიმუქრა. ორივეგან სახელმწიფომ უკან დაიხია. საქართველოში ასეთი რამ არ მოხდა. დეპარტამენტმა კატეგორიულ ზომას არ მიმართა, ფედერაცია კი მასთან თავისი ფეხით მივიდა და თანამშრომლობაზე ჩამოუგდო სიტყვა.

შეხვედრის თაოსანი კახი ასათიანი ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ამ ისტორიაში თავისი როლი პარლამენტმა და მისი სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ მანუჩარ მაჩაიძემ ითამაშეს. მან დეპარტამენტს მიმართა ოფიციალური წერილით, სადაც ითხოვდა ფედერაციის მიმართ გამოეყენებინათ კანონით მართებული ზომა. დეპარტამენტმა ეს დოკუმენტი გადაუგზავნა ფედერაციას, რომლისგანაც პასუხად მიიღო, დეკემბერში აღმასკომის სხდომაზე მაგ საკითხსაც განვიხილავთო. ეს იყო ნოემბერში. ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა 18 დეკემბერს გაიმართა, 13 იანვარს კი დეპარტამენტმა მიიღო ფედერაციის ოფიციალური დოკუმენტი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო აღმასკომის სხდომაზე განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები, პლუს გულშემატკივართათვის საინტერესო ცნობა, რომ 9 იანვარს ფედერაციის ხელმძღვანელობა ერთხელაც ესაუბრა ნაკრების მწვრთნელს ალექსანდრე ჩივაძეს, რომელმაც კვლავ ურყევად გამოთქვა თანამდებობიდან წასვლის სურვილი, რაზეც ისინი იძულებულნი იყვნენ დათანხმებოდნენ.

ჩვენ, ცხადია, არ გვსურს იმის მტკიცება, რომ დეპარტამენტისა და ფედერაციის ხელმძღვანელთა შეხვედრა ერთმა წერილმა განაპირობა, თუნდაც იგი პარლამენტიდან ყოფილიყო. უფრო სავარაუდოა, რომ ეს „დათბობა“ ბოლოდროინდელი მოვლენების კომპლექსური შედეგია. თავისთავად, ასეთი რამ ახლა რომ მოხდა და არა რამდენიმე თვის წინ, ვფიქრობთ, მეტყველი ფაქტია.

დეპარტამენტმა ფედერაციასთან თანამშრომლობის გაძღოლა დაავალა თავისი მთავარი სპორტული სამმართველოს უფროსს ამირან აბესაძეს, რომელმაც გვითხრა, რომ მას ყოველდღიური კონტაქტი ექნება ფედერაციასთან, ის და მისი კოლეგები მონაწილეობას მიიღებენ აღმასკომის სხდომებში და ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაში, მათ შორის ნაკრების ახალი მწვრთნელის დანიშვნის თაობაზე. აბესაძის თქმით, დეპარტამენტი, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა სპეციალისტთა აზრს გაითვალისწინებს, მაგრამ ფეხბურთის მართვაში უფუნქციოდ და, რაც მთავარია, პასუხისმგებლობის გარეშე არც თავად დარჩება.

ასეთია ფაქტი, ხოლო ამ საქმიდან რა გამოვა, მომავალი გვაჩვენებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

მოკლედ, ჩივაძე წავიდა! ზემოთქმულის სისწორე თავად ფედერაციის პრეს-სამსახურის უფროსმა ნოდარ კობერიძემ დაგვიდასტურა. მისი თქმით, ალექსანდრე ჩივაძის მოთხოვნას, გაათავისუფლონ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელობიდან, ფედერაცია ოფიციალურად აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დააკმაყოფილებს. თუმცა, ჯერ არ არის ცნობილი, როდის იწვევენ ამ სხდომას. ასე თუ ისე, ადრე თუ გვიან, აღმასკომი უნდა შეიკრიბოს, ჩივაძის განცხადება ოფიციალურად უნდა დააკმაყოფილოს და ახალი დანიშნოს. თუ ფეხბურთის ფედერაციის მოხელეების ნათქვამს ვერწმუნებით, ეროვნული გუნდის ახალი თავკაცი აუცილებლად ქართველი იქნება. ეგაა, ფედერაციას ჯერ ვერ გაურკვევია, ვინ დანიშნოს.

## წუხელ

# იუვემ Pარიზი Sასტიკად Gაანადგურა

UEFA SUPER CUP®

ევროპის სუპერთასი.
პირველი მატჩი. 15 იანვარი.

**პსჟ 1:6 იუვენტუსი**

**პარი სენ-ჟერმენი:** ლამა, ალჟერინო (კუნედი 33), ნგოტი, ლეგენი, დომი, ფურნიე, გერენი, რაი, ლეროი, ლოკო, დე ლი ვალდესი (პოჟე 62)

**იუვენტუსი:** პერუცი, ფერარა (ჯულიანო 72), პესოტო, პორინი, ტორიჩელი (ლომბარდო 66), ტაკინარდი, ზიდანი, დეშამპი, დი ლივიო, დელ პიერო, პადოვანო (ამორუზო 72)

**გოლი:** პორინი (4), პადოვანო (21, 40), ფერარა (34), რაი (51 პ), ლომბარდო (82), ამორუზო (89)

**გაფრთხილება:** ფურნიე, დეშამპი, რაი

**გაძევება:** ფურნიე (63)

„პარკ დე პრენსზე“ ტურინელმა სტუმრებმა ცოდვა დაატრიალეს. ჩემპიონთა, საკონტინენტთაშორისო და აწ უკვე სუპერთასის მფლობელმა თასების თასის მფლობელს კუდით ქვა ასროლინა. თვალნათლივ გამოჩნდა, რომ „პარი სენ-ჟერმენი“ დღეს „იუვენტუსთან“ ახლოსაც ვერ მივა. იტალიელებმა მთელს მსოფლიოს ერთხელაც აჩვენეს სრულყოფილი თამაშის ნიმუში. აღსანიშნავია, რომ მათ შორის ამჯერადაც გამოირჩეოდა წაგებულთა თანამემამულე ზინედინ ზიდანი.

საპასუხო მატჩმა აზრი დაკარგა...





გუშინ დილმის ბაზაზე:
ყიფიანი ახალბედებს აკვირდება, მათ შორის გივი კვარაცხელიასაც

გურამ დოლენჯაშვილის ფოტოები

# ვინ დარჩა ყიფიანს?

გუშინ დილმის ბაზაზე თბილისის „დინამომ“ ორმხრივი მატჩი გამართა. დავით ყიფიანი დიდ საგონებელშია და ალბათ მიხვდით, რატომაც: „დინამო“ ხომ მოთამაშეთა უმეტესობამ დატოვა და მათ ადგილს ახალი თაობა იკავებს. ეს მატჩი თავისებურ დათვალიერებას წარმოადგენდა და აუცილებელიც იყო: ხომ უნდა გარკვეულიყო დინამოელთა მწვრთნელი, ვის რა შეუძლია და ვინ უფრო გამოადგება მომავალში. თანაც, წინ ესენგეს ჩემპიონთა მოსკოვის ტურნირია.

... დინამოელთა ჩვეულ ტაქტიკურ მონახაზს მიჩვეული უცებ ვერც გავერკვიე შექმნილ ვითარებაში. აშკარაა, დავით ყიფიანი მახვილგონივრულ, ორიგინალურ მეთოდებს არ ღალატობს და ნაირ-ნაირ ტაქტიკურ ცვლილებებს აკეთებს. თუმცა, დასკვნის გაკეთება ჯერ ადრეა და ერთი, ისიც სავარჯიშო, ორმხრივი მატჩით ძნელია მომავალზე მსჯელობა, მაგრამ რაღაცის თქმა ახლავე შეიძლება, მანამდე კი ორი „დინამოს“ შემადგენლობას გაგაცნობთ:

**„დინამო 1“:** ჯანელიძე, ზ. ჯელაძე, კალაძე, ჩხაიძე, ცქიტიშვილი, კიკნაძე, კვარაცხელია, რევიშვილი, ხომერიკი, მუჯირი, დემეტრაძე.

**„დინამო 2“:** ლომაია, ზამთარაძე, დიდავა, კუდინოვი, მაჭავარიანი (მაშიაშვილი), დავითნიძე, ერაძე (დიმიტრიშვილი), ვ. დარასელია, მიქაძე, ასათიანი, კერძევაძე.

**1:0 ცქიტიშვილი, 2:0 დემეტრაძე.**

თავდაპირველად ერთი უსიამოვნო ფაქტი: ორთაბრძოლისას მამუკა მაჭავარიანი კვლავ დაშავდა და კვლავ მარცხენა მუხლი დაიზიანა. თუმცა, რამდენად სერიოზულია ტრავმა, ექიმები იტყვიან. ახლა კი, მატჩზე:

პირველი სიახლე ცქიტიშვილის ლიბეროდ თამაში იყო და შეიძლება ახლავე ვივარაუდოთ, ვინ იქნება მაჭავარიანის შემცვლელი. ცქიტიშვილმა მთელი მატჩი ძალზე ჭკვიანურად ითამაშა და ისეთი გოლიც შეაგდო, თქვენი მოწონებული. მეორე სასიამოვნო სიურპრიზი „დინამო 1“-ის შემადგენლობაში 17 წლის გივი კვარაცხელიას თამაში გახლდათ. იგი გამთამაშებლის ფუნქციას ასრულებდა დავით მუჯირთან ერთად და საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, თუმცა, ეს, უბრალოდ, ჩემი აზრია, ყიფიანმა კი თავის საქმისა სხვებზე უკეთ იცის. მოულოდნელი იყო ყოფილი ალანიელის ზაზა რევიშვილის „დინამოში“ თამაშიც. იგი მთლიანად აკონტროლებდა მარჯვენა ფრთას და კაციშვილი არ გააჭაჭანა იქ. მარცხნივ, ტრადიციულად, ჩხაიძე მოქმედებდა, საყრდენად კიკნაძე, თავდასხმაში კი ხომერიკ-დემეტრაძის დუეტმა გააწამა „დინამო 2“-ის ოთხი მცველი: დავითნიძე-ზამთარაძე ფლანგებზე, მაჭავარიანი-დიდავა შუაში. კუდინოვი, შეიძლება ითქვას, საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობდა, მის წინ დებიუტანტი სოსო ერაძე, უფრო წინ მიქაძე და გამოცდილი კერძევაძე. მატჩი საკმაოდ საინტერესო, სასიამოვნო საცქერი გამოდგა, დინამოელები ერთმანეთს არ ზოგავდნენ და ამგვარი თამაშის ბევრ პირველჯგუფელ გუნდსაც შეშურდებოდა. ასეა თუ ისე, დინამოელთა მატჩმა თავისი ფუნქცია პირნათლად შეასრულა. დავით ყიფიანს უფრო ცხადად განსჯის საშუალება მიეცა. მისი ამ ბიჭებთან (დებიუტანტები მყავს მხედველობაში) მუშაობა ნამდვილად საინტერესო იქნება. თამაშის გარჩევით კი თავს აღარ შეგაწყენთ, დაიწყება ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე და ყველაფერს თავად იხილავთ.

**ქობა ინასარიძე**

# ჯერ ისევ „შევარდენი" „არსენალს" შეხვდება

10 იანვარს თბილისში ჩემპიონატის მეორე წრისთვის მზადებას შეუდგა „შევარდენი" („უნივერსიტეტად" ამათი გაფორმება ჯერ ოფიციალურად არ გადაწყვეტილა). გუნდის მთავარი მწვრთნელის ელგუჯა ხუციშვილის თქმით, შეკრებაზე პირველი წრის შემადგენლობიდან მოისაკლისეს თავდამსხმელი ჯუბა ჯუხუა და მცველი ედიშერ ალადაშვილი. როგორც მწვრთნელმა გვითხრა, მათი არგამოცხადების მიზეზი გაურკვეველია. თუმცა, შევიტყვეთ, რომ ალადაშვილი „კახეთში" გადასვლას აპირებს, ჩუხუა კი — უცხოეთში გამგზავრებას, მაგრამ სად და რომელ გუნდში, ჯერ უცნობია. „დიმა ვერემჩუკი ხაშურის „ივერიის" ჰამლეტ წივწივაძესთან ერთად გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ან ობერლიგის გუნდში ელის საქმის გაჩარხვას მენეჯერის დახმარებით. თუ ეს ვერ მოხერხდა, „შევარდენში" დარჩება. ასეთივე მდგომარეობაა წივწივაძესთან დაკავშირებით — გერმანიაში თუ ვერ დარჩა, ჩვენთან ითამაშებს. „შევარდენთან" ვარჯიშობს „ოდიშის" მამუკა ჯიქია, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ფეხბურთელთა მსგავსად, უცხოეთს ეშურება, თუმცა, შესაძლოა, იგიც ჩვენთან ჩაირიცხოს. ეს ყველაფერი უახლოეს დღეებში გადაწყდება. ჩვენ ყოფილი დინამოელის პაატა გამცემლიძის დამატებაც გვსურდა, ამის თაობაზე „შევარდენის" პრეზიდენტი მირიან ცხვარაძე მას ესაუბრა კიდეც, მაგრამ მას შემდეგ გამცემლიძე აღარ გამოჩენილა, რადგანაც პაატას ხერხემლის არეში ტკივილები აწუხებს და ამის გამო ჯერაც ვერ ვარჯიშობს. იმედია, იგი მალე გამოჯანმრთელდება და შემოგვიერთდება. მას დიდი სიამოვნებით მივიღებთ.

პირველ წრეში ლერი საბიაშვილის ტრავმამ თავდასხმაში პრობლემები შეგვიქმნა, მან მენისკის ოპერაცია გაიკეთა, მომჯობინდა და ვარჯიშებს გუნდთან ერთად 10 იანვრიდან შეუდგა. თუმცა ერთ-ერთ ვარჯიშზე, 13-ში, ტრავმამ კვლავ გაახსენა თავი და ახლა იძულებით ისვენებს. საბიაშვილს ექიმები გამოიკვლევენ და დაზუსტებით გვეტყვიან, რამდენად სერიოზულია ტრავმა.

ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ 10-24 თებერვალს სლოვაკეთში გავემგზავრებით. სასტუმროს საკითხი მოგვარებულია და ისიც დადგენილია, სად ვივარჯიშებთ. ჩვენ სლოვაკებს გავუგზავნეთ ფაქსი, სადაც ვთხოვდით, ამ პერიოდისათვის გამოეძებნათ ჩვენთვის სპარინგ-პარტნიორი, ვისთანაც საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებდით. როგორც ვიცით, ჩვენი იქ ყოფნისას სლოვაკეთში გაიმართება ტურნირი, რომელშიც ტულის „არსენალიც" მიიღებს მონაწილეობას. დიდი სურვილი გვაქვს, ამ ტურნირზე ვითამაშოთ. თამაშების ჩაუტარებლად შეკრების გამართვა უაზრობაა. ახლა სლოვაკებისგან პასუხს ველით. მანამდე კი „მანუჩაროვიჩის" სახელობის ტურნირში მივიღებთ მონაწილეობას, 2-8 თებერვალს ჩვენი პრეზიდენტის ინიციატივით რომ გათამაშდება. ტურნირი ერთ წრედ, მიმოსვლით ჩატარდება".

**მერაბ მამულაშვილი**

# კოპალეიშვილს ლეგიონერები მოუმრავლდა

18 წლამდელთა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვახტანგ კოპალეიშვილის ცნობით, ამ ნაკრების კანდიდატი, თბილისის ასკ-ს მოთამაშე დათო გოგოლაძე გერმანიას წასულა და ბილეფელდის „არმინიას" ახალგაზრდულ გუნდში ჩარიცხულა. ბილეფელდშივე თამაშობს კოპალეიშვილის ნაკრების კიდევ ერთი კანდიდატი გოგა ფარქოსაძე. ნოზაძე, მენთეშაშვილი და ჭიაბრიშვილი კი ბედის საძიებლად ამერიკაში გამგზავრებულან. რაც შეეხება მამუკა წერეთელს, იგი ძოძუაშვილმა ლატვიაში წაიყვანა. როგორც ხედავთ, კოპალეიშვილის ნაკრებს ლეგიონერები საკმაოდ მოუმრავლდა.

# პეტერბურგელები კინაღამ «მეტალურგში» დაბრუნდნენ

ალბათ გახსოვთ, შარშანდელ ეროვნულ ჩემპიონატში რუსთავის „მეტალურგი" მთელი მეორე წრის მანძილზე ლიდერთა შორის იმყოფებოდა და ევროთასების ერთ-ერთ საგზურსაც უმიზნებდა. ყველაფერი ბოლო ტურში, ზესტაფონელებთან თამაშისას უნდა გარკვეულიყო. გაირკვა კიდეც — მასპინძელთა მარცხმა ბევრი რამ თავდაყირა დააყენა. აქედან მოყოლებული, გუნდში უამრავი ცვლილება მოხდა. „მეტალურგი" რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, თანამდებობა შეიცვალა მთავარმა მწვრთნელმა რევაზ ძოძუაშვილმა და, წარმოიდგინეთ, როგორი ჯაფა დაადგებოდათ კლუბის სპონსორებს ფაქტიურად ახალი გუნდის შესაქმნელად. ავად თუ კარგად, მათ ეს მოახერხეს. რუსთაველთა გადახალისებული გუნდი დღესაც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება ნებისმიერი ჩვენებური მეტოქისთვის. რუსთაველებს გამოცდილება აშკარად აკლიათ, მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ — კლუბი სპონსორებმა მიატოვეს და ახლის ძებნაში დიდი დრო გავიდა, „მეტალურგიც" დაშლის პირას იდგა და ასეთ პირობებში მის მიერ I წრეში ნაჩვენები შედეგი ურიგოდ არ უნდა მივიჩნიოთ.

შარშანდელი ჩემპიონატი ტყუილად როდი ვახსენეთ. მაშინაც თითქმის ასეთივე მდგომარეობა იყო. I წრე გუნდმა უხელფასოდ, ყოველგვარი ფინანსური დაინტერესების გარეშე ჩაამთავრა. მეორე წრეში კი, როგორც ვთქვით, ევროპაზე გასვლას ლამობდა. ისტორია ხშირად მეორდება და იქნებ წლევანდელი არასახარბიელო დასაწყისის შემდეგ „მეტალურგი" კვლავ ლიდერთა შორის ვიხილოთ. გამორიცხული არაფერია, მითუმეტეს, რომ კლუბს სერიოზული პრეზიდენტი გამოუჩნდა რევაზ ჩელებაძის სახით. მთავარი მწვრთნელი იასონ ალადაშვილი კი, როგორც ყოველთვის, იმედიანადაა განწყობილი, რისი საფუძველიც მას ნამდვილად აქვს.

**— შევიტყვეთ, „მეტალურგის" საქმეები სასიკეთოდ შეტრიალებულა.**

— მართალია. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტად რევაზ ჩელებაძე მოვიდა, ყველაფერი შეიცვალა. შედარებაც არ შეიძლება ადრინდელთან. დავალიანება მთლიანად გავისტუმრეთ, ყველა მოგებული მატჩისთვის პრემიები დავარიგეთ, გვიან, მაგრამ მაინც... ხელფასებიც მივეცით ბიჭებს და, დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ასე გაგრძელდება. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ამის თქმის უფლებას ვაძლევ ჩემს თავს... კლუბის პრეზიდენტი, ქალაქის მერია და მოსახლეობა ყოველმხრივ გვეხმარებიან. ჩვენც ვეცდებით, არ ვუმტყუნოთ.

**— შეკრებას როდის იწყებთ?**

— 20 იანვარს რუსთავში ვიკრიბებით და, ალბათ, იქვე დავრჩებით. არა მგონია, უცხოეთში წავიდეთ მოსამზადებლად. რუსთავში ვიქნებით, ამხანაგურ თამაშებს ჩავატარებთ თბილისში, თელავში, გორში და ვეცდებით ეს პერიოდი ნაყოფიერად გამოვიყენოთ.

**— ახალი ფეხბურთელი ხომ არ დაგიმატებიათ?**

— რუსთავის ბავშვთა გუნდებიდან ვაპირებთ რამდენიმეს დამატებას. ისინი მეტწილად მურმან გოგოლაძის აღზრდილები არიან, 1980 წელს დაბადებულები. ვფიქრობ, გამოგვადგებიან, სათამაშო პრაქტიკას მაინც შეიძენენ, მომავალი ჩემპიონატისთვის კი სრულფასოვან ფეხბურთელებად ჩამოყალიბდებიან. უზბეკეთიდან დაგვიბრუნდა შეყრილაძე, რევაზ ჩელებაძის რეკომენდაციით ქობულეთიდანაც ჩამოვიყვანთ ორ ფეხბურთელს და ვნახოთ, გუნდის დაკომპლექტების მხრივ პრობლემები არ უნდა გვქონდეს.

**— არმაზ ჯელაძე რომ ლატვიაში გაემგზავრა?**

— ის რევაზ ძოძუაშვილმა წაიყვანა რიგაში. სად, რომელ კლუბში ითამაშებს, ჯერჯერობით არ ვიცი. ჯელაძის არ იყოს, მენთეშაშვილმაც მიგვატოვა, რუსეთის უმაღლესი ლიგის ერთ-ერთ გუნდში წავიდა გასასინჯად და გამორიცხული არაა, უკანვე დაბრუნდეს. ყველა სხვა ფეხბურთელი ადგილზეა.

**— მამუკა ქორიძის გუნდში დაბრუნებით, ალბათ, მეკარის პრობლემა მოგეხსნებათ...**

— ქორიძის დარი მეკარით ბევრი ვერ დაიკვეხნის. საკმაოდ გამოცდილი, თავდაჯერებული ბიჭია და ანდრო კოროშინაძესთან ერთად დიდ სამსახურს გაგვიწევს.

**— ლაშა ალადაშვილი „მეტალურგში" აიყვანეთ. მეორე ვაჟიშვილზე — კახაზე რა ისმის საბერძნეთიდან?**

— უმცროსი ლაშა ჯერ 16 წლისაა, მურმან გოგოლაძის აღზრდილია და ამასწინათ გივი ჩოხელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირზე 25 გოლი გაიტანა. ისიც თავდამსხმელია და, იმედი მაქვს, კახაზე ნაკლები არაფრით იქნება. რაც შეეხება უფროს კახას, იგი კვლავ „ვეროიას" შემადგენლობაში ირიცხება, თუმცა კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მოუწერია. როგორც ვიცი, მას მენეჯერი ურჩევს, დროებით თავი შეიკავოს. ისე, ათენის „ათინაიკოსიც" ეპატიჟება, ნორმალურ პირობებს სთავაზობს და იქნებ ამიტომაც იკავებს თავს. კახას 25 იანვრამდე აქვს დრო და მანამდე თავად გადაწყვეტს, სად აჯობებს თამაში.

**— ადრე ძმები კილასონიების და ბურნაძის დაბრუნებაზეც იყო საუბარი. როგორც ჩანს, არაფერი გამოვიდა...**

— ვარლამ კილასონიას გუნდში დაბრუნება ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, ჩვენი პრეზიდენტი მის ყველა პირობას დაყაბულდა, მაგრამ ბოლოს რა მოხდა, ვერ გავიგე. ვარლამი გიასთან ერთად დნეპროპეტროვსკში გაემგზავრა იქაურ „დნეპრში" სათამაშოდ. ბურნაძემ კი ისევ სანქტ-პეტერბურგს მიაშურა. იგიც თითქმის ყაბულს იყო რუსთავში დარჩენაზე. საბოლოოდ, ყველაფერი გივი ნოდიას სატელეფონო ზარმა გადაწყვიტა.

**— ზაზა ზირაქიშვილის ტრანსფერიდან არაფერი გერგებათ?**

— არ ვიცი. ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. ამ საკითხში რევაზ ჩელებაძე უკეთ გაგარკვევთ. ისე კი, ზაზა „მეტალურგის" საკუთრება იყო და, მგონი, გვეკუთვნის „ფერენსესგან" რაღაც თანხა.

**— წლევანდელი ჩემპიონატისთვის რას გეგმავთ?**

— ჯერჯერობით — ათეულში მოხვედრას. თუმცა, გამორიცხული არაფერია — ხომ გაგიგიათ, მადა ჭამაში მოდისო. თუ კარგად ავთამაშდით მეორე წრეში, არც ხუთეულზე ვიტყვით უარს, თუ არა და, მომავალი სეზონისთვის უეჭველად ვიბრძოლებთ ევროპის საგზურისთვის...

**კობა ინასარიძე**

# ჯანელიძე ეძებს...

პირველი წრის სავალალოდ გასრულების შემდეგ, „კახეთის" მთავარი მწვრთნელის ჯონი ჯანელიძის სიტყვებს თუ ვერწმუნებით, თელავში გუნდს წყალობის თვალით გადახედეს. მწვრთნელმაც „კახეთის" გასაძლიერებლად მოთამაშეთა ძიება დაიწყო და „ლოკომოტივის" გია მაზანაშვილის, „სიონის" კახა გოდერძიშვილის, „შევარდენის" ედიშერ ალადაშვილისა და „შირაქის" გია ჯიკაევის დამატება სურს. ჩვენი ცნობით, მოთამაშეებს წინასწარი თანხმობაც განუცხადებიათ.

# კაკუბავა „ფაკელში"

„მერანიდან" წასული დემურ კაკუბავა ვორონეჟში, რუსეთის უმაღლესი ლიგის ახალ ბინადარ „ფაკელში" გასასინჯად გაემგზავრა. ეს მისმა ძმამ ნიკა კაკუბავამ გვაცნობა. მისივე თქმით, გელა გაბისონია ამჟამად მოსკოვში იმყოფება ოჯახური საქმეებზე. შესაძლოა, უკან დაბრუნდეს და მეორე წრეში „მერანში" ითამაშოს. ამ გუნდში თამაში მისი სურვილი ყოფილა. ჩემპიონატის დასრულების შემდეგ კი გერმანიაში აპირებს ბედის საძებნელად წასვლას.

# „ცხრა ძმა" საქართველოდან

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო განყოფილების უფროსმა უშანგი ფურცელაძემ გვაცნობა, რომ ფიფადან გამოგზავნილი ფაქსის თანახმად 1997 წელს საერთაშორისო შეხვედრებს მოემსახურებიან: მსაჯის სტატუსით — სერგო კვარაცხელია, ოთარ გუნთაძე და მერაბ მალალურაძე, თანამსაჯისა — ვახტანგ ჩოჩიშვილი, ზურაბ დოლიძე, ლევან მგელაძე, სოსო კახიანი, სოსო მიქელაძე და გურამ ასკარ-ოღლი.



# ხუჯაძეები „ტორპედოში" იკრიბებიან

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებისა და ფოთის „კოლხეთის" მოთამაშეს შალვა ხუჯაძეს ზღვისპირეთიდან ქუთაისში გადაბარგება გადაუწყვეტია: „ფოთიდან „ტორპედოში" გადასვლის მიზეზი უბრალოა — ხშირი მოგზაურობა მეტად მღლის, ქუთაისში კი სახლი მაქვს. თუმცა, ეს არ არის იმის მთავარი მიზეზი, რომ „ტორპედოში" გადასვლა მსურს. „კოლხეთმა" დაარღვია კონტრაქტით გათვალისწინებული პირობები. საკონტრაქტო თანხა აგვისტოში უნდა მოეცათ, თუმცა გაცილებით გვიან გამისტუმრეს, თანაც, მხოლოდ ნაწილი მომცეს, ნაწილი კი ჯერაც არ მიმიღია. რაც გუნდში ვარ, მუდამ ასეა და მეც ძალიან გამიჭირდა ასეთ პირობებთან შეგუება. ეს „კოლხეთის" ხელმძღვანელობამაც მშვენივრად იცის. 15 იანვარს „ტორპედოს" შეკრებაზე ჩაველ და ქუთაისელებთან ერთად შევუდგები მომზადებას. ამ გადასვლისას პრობლემები არ უნდა შემექმნას, რაკი „ტორპედოს" პრეზიდენტი ბესიკ ჯიქია ფოთელთა ხელმძღვანელობას სიტყვიერად შეთანხმებია, რომ გარკვეული კომპენსაციის შედეგად მიიღებდა თანხმობას „ტორპედოში" ჩემს გადასვლაზე. ჩემთან ერთად „ტორპედოში" ჩემი ძმა ირაკლიც ივარჯიშებს".

შეგახსენებთ, რომ ირაკლი ხუჯაძე პირველ წრეში „გორდაში" თამაშობდა.

# „ტორპედო" დიდი ძალა იქნება

პირველი წრის შუახანს არნახულ კრიზისში ჩავარდნილმა „ტორპედომ" წრის ბოლოს მდგომარეობა საგრძნობლად გამოასწორა და მისთვის სამარცხვინო ბოლო ადგილიდან კარგა ზემოთ აინაცვლა. ახლა კი გუნდის მხსნელისა და სულისჩამდგმელის — „სიგმა-ბანკის" მმართველი დირექტორის ბესიკ ჯიქიას შეწევნით ქუთაისელებს უფრო მაღალი მიზანი დაუსახავთ — ქართულ ფეხბურთში მათთვის შესაფერისი და საკადრისი ადგილის დაბრუნება. წელს ეს, ალბათ, გაუჭირდებათ, ჩემპიონატის პირველ ნახევარში საკმაოდ ბევრი ქულა გაანიავეს, თუმცა „ინტერტოტოზე" მოხვედრის იმედი ჯერაც არ დაუკარგავთ. საამისოდ, ბუნებრივია, ჩვენში ჯერ კიდევ დარჩენილი შედარებით კვალიფიციური მოთამაშეებით გაძლიერებას აპირებენ. ჯიქიას თქმით, „სიონის" კოტე მეტრეველი და „მარგვეთის" როინ მარღიშვილი უკვე დაიყოლიეს. ამას გარდა, შევიტყვეთ, რომ ძმები შალვა და ირაკლი ხუჯაძეებიც ქუთაისში აპირებენ თამაშს. ფაქტობრივად გადაწყვეტილია „სამტრედიის" მცველის ვახტანგ ხვადაგიანის გადასვლაც. იტალიაში საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ნათამაშევი „დილას" ნახევარმცველის გურამ ლომიძისა და გუცაევის ნაკრების კიდევ ერთი ფეხბურთელის — მარგველი ლევან ქებაძის დამატებაზეც არის საუბარი. თუ ქუთათურებმა აღნიშნულ მოთამაშეთა გადაყვანის ყველა პრობლემა მოაგვარეს, ამ შემთხვევაში „ტორპედო" საკმაოდ მომძლავრდება და ნებისმიერ ქართული გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალა იქნება. ერთია, რომ გუნდი საბოლოოდ არ დაკომპლექტებულა, რის გამოც მომზადება მხოლოდ გუშინ, 15 იანვარს განაახლეს. ამავე მიზეზით დროებით გადაიდო „ტორპედოს" უცხოური შეკრება.

# „მერანის" მინუს-პლუსები

გუშინ, 15 იანვარს, „სინათლის" სტადიონზე შეიკრიბნენ „მერანის" ხელმძღვანელები, მწვრთნელები და მოთამაშეები. საბოლოოდ უნდა გარკვეულიყო წამსვლელ-დამრჩენთა და დამატებულთა ვინაობა. მაგრამ ამ საკითხს ვერც ამ შეკრებამ მოჰფინა ნათელი. „მერანის" მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ დანამდვილებით მხოლოდ ის გვითხრა, რომ საბერძნეთში წავიდა ლადო ჭოლოკავა. ზურაბ არჩვაძეც, თურმე, საბერძნეთში აპირებს გამგზავრებას, დემურ კაკუბავამ რუსეთს მიაშურა, პერტია კი ძოძუაშვილმა ლატვიაში წაიყვანა. შეკრებაზე გელა ქორიძე და გუბაზ დოლიძეც გამოცხადდნენ, თუმცა გელა დღე-დღეზე ელის „მრეტბის" პრეზიდენტის ვაჟა ჩხაიძის ზარს გერმანიიდან, იქაურ რეგიონალურ ლიგაში საქმე რომ გაუკეთა და ქორიძეც, ალბათ, წამსვლელებს შეუერთდება. დოლიძე კი პერტიასთან ერთად ლატვიაში უნდა გადასულიყო, მაგრამ მისი წასვლა-დარჩენის საკითხი ჯერაც გაურკვეველია. რამდენიმე მოთამაშის დამატებაზეც არის საუბარი, თუმცა თემურ მახარაძეს მათი გვარები ჯერ არ დაუსახელებია. ფეხბურთს ჩამოშორდა ჯანიკო კენჭიაშვილი, ვინაც წლების განმავლობაში „მერანის" კაპიტანი იყო.

და მაინც, „მერანის" მთავარი მწვრთნელი ასეთ დანაკლისს არ შეუშინებია. იგი იმედს არ ჰკარგავს, რომ გუნდი მეორე წრესაც ღირსეულად ჩაატარებს:

„ჩვენ მოსამზადებლად მთელი ორი თვე გვაქვს, ამ ხნის მანძილზე კი სავსებით შესაძლებელია კარგად მოვემზადოთ და ჩემპიონატის განახლებას ღირსეულად შევხვდეთ. მოსამზადებელ პერიოდს თბილისში გავივლით. იმის საშუალება არ გვაქვს, უცხოური შეკრებები რომ მოვაწყოთ. ვარჯიშით „სინათლის" სტადიონზე ვივარჯიშებთ, უამინდობისას კი — „შრომით რეზერვებში", ანაც გლდანის ხელბურთის დარბაზში. ჩემპიონატამდე 7-8 საკონტროლო შეხვედრის ჩატარებას ვგეგმავთ. ფაქტობრივად, ამ დროს დაკომპლექტდება ახალი „მერანი".

მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენგან მოთამაშეები პირობების შეუსრულებლობის გამო არ წასულან. გუნდის ხელმძღვანელობა კონტრაქტით გათვალისწინებულ ყველა პირობას ასრულებს. ამ მხრივ მდგომარეობა „მერანში" სტაბილურია. უბრალოდ, ფეხბურთელებს საქართველოს ჩემპიონატის დონე და პირობები არ აკმაყოფილებთ და ჩვენ მათ წასვლაში ხელი არ შევუშალეთ.

**მერაბ მამულაშვილი**

# „ბათუმი" ტრაბზონში მიდის

როგორც ბათუმელთა პრეზიდენტმა დავით კლდიაშვილმა გვაცნობა, გუნდი მომავალი კვირიდან თურქეთში, კერძოდ, ტრაბზონში გააგრძელებს სეზონისთვის მზადებას. შესაძლოა, ბათუმელებმა ამხანაგური მატჩებიც გამართონ იქაურ „ტრაბზონსფორთან". რაც შეეხება ცვლილებებს, გუნდს ალბათ დატოვებს დავით მახარაძე, რომელსაც ფოთის „კოლხეთი" ეპატიჟება, თუმცა ყველაფერი ამ დღეებში გაირკვევა. სხვა ახალი არაფერია, ბათუმელთა ფინანსურ-მატერიალური მდგომარეობა კი, უწინდელივით მყარია.

# ჩვენ, ბერძნები, რუმინელები და მაკედონიელები

ჩვენდა უნებლიედ ერთ-ერთ წინა „სარბიელში" მცდარი ინფორმაცია მოგაწოდეთ 1979 წელს დაბადებულთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ქვეჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეთა შესახებ. ამ ასაკის ნაკრების მთავარი მწვრთნელის ვახტანგ კოპალეიშვილის თქმით, ჩვენი მეტოქეები იქნებიან მაკედონია, რუმინეთი და საბერძნეთი. შევიტყვეთ, რომ ტურნირი შესაძლოა საბერძნეთში ჩატარდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გულრიფშელი გურამ გაბისკირია

1991-92 წლის ჩემპიონატში გულრიფშის „კოლხი" მეოთხე ჯგუფის დასავლეთ ზონაში პირველ ადგილზე გავიდა და მესამე ჯგუფში გადავიდა. კლუბის პრეზიდენტმა ანზორ ხარბედიამ „კოლხს" პოლონეთის ტურნე გაუხერხა, სადაც კლუბი 17 აგვისტოს უნდა წასულიყო, მაგრამ გულრიფშელებს არ დასცალდათ: 14 აგვისტოს ომი დაიწყო. ფეხბურთელებმა ანზორ ქაჯაიამ, დათო მაისურაძემ, სოსო ჭედიამ, მამუკა კვარაცხელიამ, ტარასი ქარჩავამ და სხვებმა სამშობლოს დასაცავად იარაღი აისხეს. მათი უმრავლესობა შინაგან ჯარების ბატალიონში იბრძოდა, რომელსაც მაიორი შოთა კვარაცხელია მეთაურობდა — „კოლხის" ერთ-ერთი სპონსორი.

ზემოთ ანზორ ხარბედია ვახსენე. ეს კაცი გულრიფშში იგივე იყო, რაც გურამ გაბისკირია სოხუმში. თავისი „ზაპოთი" დღეს ფოთს მოივლიდა, ხვალ — თბილისს, ზეგ — სოჭში ამოჰყოფდა თავს, ოღონდ კი გუნდს არაფერი გასჭირვებოდა. ასეთი მორიდებული კაცი იშვიათად შემხვედრია, სიმორცხვისგან ენას ვერ აბრუნებდა — ეს საკუთარი თავისთვის, თორემ „კოლხისთვის" ჯიქურ შეასკდებოდა ნებისმიერს, მთებს გადააბრუნებდა. ომის წინა დღეებში... სტადიონის მშენებლობა წამოიწყო, სამონტაჟო სამუშაოებიც დაასრულა და ომის პირველ თვეებშიც მუშაობდა — იქნებ ომი მალე მორჩეს და საქმე წინ წავიგდოო. ეს სტადიონი რომ დამთავრებულიყო, მართლაც უნიკალური რამ იქნებოდა: 10 ათასიან გულრფიშში 1000 კაციანი სტადიონი მთლიანად გადახურული ტრიბუნით...

ანზორ ხარბედიამ და „კოლხის" მწვრთნელმა მურთაზ ვეკუამ თავად მომნახეს, „სარბიელიდან" შეუტყვიათ „ცხუმის" აღდგენაზე და თავისი სიტყვაც შეგვაწიეს.

— „ცხუმი" აუცილებლად უნდა აღდგეს, ენვერ თოლორდავას სრულიად ვეთანხმები, მეც ყველანაირად მხარში ამოვუდგები. დიმა ჯაიანმა სოხუმის თეატრის თბილისში აღდგენა მოახერხა, გიორგი რატიანმა სოხუმის ბავშვთა თეატრი განაახლა თბილისში, სამაჩაბლოელებმა „ცხინვალი" შეკრიბეს გორში, ჩვენ რაღა დაგვემართა, განა რიცხობრივად ყველაზე მეტნი არა ვართ? ლტოლვილთაგან ბევრი კარგად მოეწყო, მათ შორის რუსეთშიც და საზღვარგარეთაც, ისინიც დაგვეხმარებიან. ჩვენმა სპონსორმა, ახლა უკვე შინაგანი ჯარების პოლკოვნიკმა შოთა კვარაცხელიამ თავისი წილი დახმარება შემოგვთავაზა. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე რომ „ბენდელას თასზე" ოჩამჩირის „ამირანი" გამოდის. ბატონი შოთას ხელშეწყობით უცებ მოვნახეთ ბიჭები და ამ ტურნირისთვის „კოლხიც" ავაწყვეთ. სხვათა შორის, „კოლხის" ავტობუსიც კი მოვიძიეთ. თუ „ცხუმი" აღდგება, გვიფეშქაშია სოხუმელთათვის. მოკლედ, მთავარია, მოვინდომოთ...

...მე კი კვლავ გავიმეორებ: ქართული ფეხბურთი მუდამ წინ უსწრებდა პოლიტიკას. მოდით, განვაახლოთ „ცხუმი", ვინ იცის, იქნებ, ახლაც ასე მოხდეს...

**მამუკა კვარაცხელია**

## განცხადება

ვაგროვებ საფეხბურთო პროგრამებს თბილისის „დინამოსა" და საქართველოს ნაკრების მატჩებიდან. მესაჭიროება ევროთასებზე „დინამოს" პროგრამები: „ტვენტესთან" (1971), მტკ-სთან, „კარდიფ სიტისთან" (1976). აგრეთვე მჭირდება ევროთასებზე „დინამოს" გასვლითი მატჩების, სსრკ ჩემპიონატის თამაშების (1936-70) და საქართველოს ნაკრების გასვლითი მატჩების (ბასკეთი 37; კვიპროსი 92, 96; მალტის ტურნირი 94; ლატვია 94; უელსი 95; ნორვეგია 96) პროგრამები. შესაძლებელია გაცვლა.

მისამართი: გლდანის მასივი. I მ-რ, 8 კორპუსი, II სადარბაზო, ბინა 31. ზაურ კიურჯიევი

ტელ: 67-09-31

# ხორცშესხმული «სკილეტა»

სსრკ პირველობის დროს, იმ გუნდისთვის, წინა სეზონთან შედარებით ყველაზე მაღლა რომ აინაცვლებდა, სპეციალურ პრიზს — „პროგრესის თასს" აწესებდნენ. მახსოვს, 1984 წელს „დინამომ" მეშვიდე ადგილი დაიკავა და, წინა სეზონში მე-13 რომ იყო, პირველად და უკანასკნელად დაეუფლა „პროგრესის თასს".

ახლა, ჩვენში, ამგვარი პრიზი ფეხბურთელებს რომ ეძლეოდეთ, „სკილეტად" წოდებული ნუგზარ ლობჟანიძე მისი უპირველესი კანდიდატი იქნებოდა. ერთი პირობა ნუგზარს ირონიითაც მოიხსენიებდნენ, როგორც „საკუთარ კაში გატანილი გოლების რეკორდსმენს", ახლა კი კარგა ხანია მხოლოდ მის ძლიერ თამაშზე იწერება. მაგრამ თამაშიც არის და თამაშიც, ბოლო სეზონში ლობჟანიძე ყველა მატჩში ისე გულიანად თამაშობდა, შეუძლებელია, შეუმჩნეველი დარჩენილიყო. სასტიკი მარცხის მიუხედავად, მეხსიერებიდან არ ამოშლილა პორტუგალიური მატჩის ეს სურათი: განადგურებული, ბედს შეგუებული გუნდი და გამწარებული, არწივივით შემართული „სკილეტა", რომელიც არავის და არაფერს ერიდება, ყვირის, ამხნევებს, აგულიანებს და ლიდერის ტვირთის ზიდვას ცდილობს. მერწმუნეთ, ვინც ეს თამაში ნახა, სამუდამოდ განიმსჭვალა სიმპათიით ამ პირხმელი ბიჭის მიმართ, რადგან დღევანდელ ფეხბურთში მარტო ოსტატობა აღარ კმარა. თავგანწირვა — აი, ის თვისება, რამაც წარმატება უნდა მოგიტანოს. ალბათ ამით უნდა აიხსნას „სკილეტას" ასეთი თვალში საცემი პროგრესი, თუმცა თავად იგი ამის თაობაზე ასე ფიქრობს:

— გეთანხმებით, რომ თამაშს აშკარად მოვუმატე. ეს კი ჰაერიდან არ მოსულა, ამას რამდენიმე მიზეზი აქვს. პირველ რიგში საქმისადმი სერიოზული დამოკიდებულების შედეგია. საერთოდ, ცხოვრებაში ასეა — როცა ადამიანი რაღაცას მოინდომებ და ყველაფერს გაიღებ, არ შეიძლება, არ დაგიფასდეს.

**— ადრე რა, არასერიოზულად ეკიდებოდი ფეხბურთს?**

— აქამდე ალბათ ასაკის ბრალი იყო თუ ისე ვერ ვთამაშობდი, როგორც საჭიროა. როდესაც კაცს ასაკი გემატება, იცვლები, სხვანაირად უყურებ ცხოვრებას. მე პირადად ასაკმა უფრო სხვაგვარად შემახედა ფეხბურთს, გარდა ამისა, შევიძინე გარკვეული გამოცდილებაც. უფრო შრომისმოყვარე გავხდი. არ შეიძლება არ აღვნიშნო დავით ყიფიანის დიდი წვლილი. ეს, ასე ვთქვათ, ალმავლობა მის ხელში განვიცადე. მაგრამ, საერთოდ ასეა: ძირითადად შენზეა დამოკიდებული, თუ მოინდომებ, მაშინ მწვრთნელის წვლილიც უფრო ჩანს; თუ არ მოინდომებ, მწვრთნელს ყველა გარჯა წყალში ჩაეყრება.

**— „დინამოში" არსებულმა კონკურენციამ არ ითამაშა თავისი როლი?**

— არა, ვერ ვიტყვი, რომ ჩემს შემთხვევაში კონკურენციას დიდი როლი ეთამაშოს. თუმცა, ზოგი ფეხბურთელი „დინამოში" სწორედ კონკურენციამ აიძულა, რაღაც-რაღაცეებისთვის გადაეხედათ და საქმეს სხვაგვარად მოჰკიდებოდნენ.

ისე ფაქტობრივად, უკანდასახევი გზა აღარ მქონდა. ახლა, წლების მერე მივხვდი, რომ ფეხბურთზე უკეთ არაფერი ვიცი და თუკი ამ საქმეში წარმატება მინდა, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. არის კიდევ ერთი ფაქტორი: ოცი წლის რომ ვიყავი, შეიძლება, ორჯერ მეტსაც ვვარჯიშობდი, მაგრამ შედეგი იმიტომ არ ჩანდა, რომ მაშინ ის ჯანი არ მქონდა, ახლა ასაკმა რომ მოიტანა. წლოვანებას დიდი მნიშვნელობა აქვს: ბიჭობიდან კაცობაში რომ გადადიხარ, ფიზიკური კონდიციები გიუმჯობესდება. მერე ფეხბურთელის დაოსტატებაში ძალზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო თამაშები. „ლინფილდის" წინ ყველა ჩვენგანს ჟრუანტელი გვივლიდა, ვერ ვიძინებდით, რაღაც შიშისმაგვარს განვიცდიდით თამაშის წინ. ახლა კი ნაკრებისა თუ „დინამოს" საერთაშორისო მატჩზე იმ გრძნობით გავდივარ, რომ საქმე უნდა გავაკეთო. ზედმეტი ემოციები აღარ მაწუხებს. „დინამოში" გატარებულმა ოთხმა წელმა დიდი გამოცდილება შემძინა.

**— საქართველოს პირველობაზეც ამავე გრძნობით გამოდიხარ?**

— რა თქმა უნდა, ჩვენი სუსტი ჩემპიონატის თამაშებს სერიოზულად ვერ ეკიდები. სწორედ ამის გამო მეშინია, რომ არ დავუკლო ძალაუნებურად. მე მინდა პროფესიონალი გავხდე, ასეთად კი საქართველოში ვერ ჩამოყალიბდები. აქ შეიძლება მხოლოდ გარკვეულ დონეს მიაღწიო. მერე კი უკან-უკან წაგივა საქმე. უცხოეთში იმიტომ იზრდებიან ფეხბურთელები, რომ შინაურ ჩემპიონატში, ფაქტობრივად, ყველა მატჩი გადამწყვეტი აქვთ და მუდამ ძლიერ მეტოქეებთან თამაშობენ. იქ ვერ მისცემ თავს იმის უფლებას, ნახევარი ძალით ითამაშო და ისე მოიგო. ამიტომაც არ მსურს აქ დარჩენა. ვთქვათ, გერმანიის ჩემპიონატში გამოდიხარ და ევროთასებზე „ბოავიშტა" შეგხვდა. განა სხვანაირად განეწყობი მასთან სათამაშოდ, როცა ყოველ კვირას „ბაიერნთან", „ბორუსიასთან" და ამ ძალის გუნდებთან თამაშობ? აქ კი იძულებული ხარ, სიტყვაზე, „სიონთან" თუ „კახეთთან" სხვა განწყობით გამოხვიდე, „ბოავიშტასთან" კი — სულ სხვა.

**— მაშ ჩვენს ჩემპიონატში თავდაჯერებულად თამაშობ?**

— არა, თავდაჯერებულად რომ გამოვიდე, ვერც იმავე „კახეთს" მოვუგებ და ვერც მასზე სუსტებს. უბრალოდ, ბრძოლის რა განწყობა უნდა გქონდეს, როცა შეხედავ და მეტოქე თამაშამდე წაგებული გამოდის?

**— მოკლედ, არაფრით დარჩები საქართველოში?**

— არ მინდა, ხმამაღლა ნათქვამი გამოვიდეს, მაგრამ ვთვლი, რომ ჩვენი ჩემპიონატისთვის მაქსიმუმს მივაღწიე, მეტი ველარ გავიზრდები. მე სერიოზულად მაინტერესებს, რისი მაქნისი ვარ ნორმალურ გუნდში და ნორმალურ ჩემპიონატში. აი, დაახლოებით როგორი შედარება მინდა მოგიყვანო: შენ, მაგალითად, ლაუდრუპისგან უფრო დიდი სიამოვნებით აიღებ ინტერვიუს თუ, ვთქვათ, ჩვენს პირველობაზე მოასპარეზე ვინმე სიკინჭილაშვილისგან. ამას, ცხადია, არავის საწყენად ვამბობ, მაგრამ ხომ ფაქტია? ასეა ჩვენთანაც. შეიძლება ეს შედარება ძალიან უხეშია, მაგრამ ვიცი, ბევრი დამეთანხმება. ხშირად მეუბნებიან, აშკარად მოუმატე თამაშსო. მეც ასე ვთვლი და მინდა ჩემი დონე ავიმაღლო...

**— თავგანწირული თამაშიც ასაკმა მოიტანა?**

— ბავშვობიდან ვარ ასეთი. რაც თავი მახსოვს, მუდამ ჟინიანი ვიყავი. როცა მოვინდომე და სერიოზულად მოვეკიდე საქმეს, ჟინი და თავგანწირვა უფრო გამოჩნდა. ბავშვობიდან მიყვარდა პერსონალურად თამაში, თავდამსხმელთან კი პერსონალურად ვერ ითამაშებ, თუ ჯიგარი არა გაქვს. „იუვენტუსი" იმიტომ მიყვარს გამორჩეულად, რომ მთელი გუნდი სწორედ ჯიგრით იბრძვის, რომ იტყვიან, ძარღვებივით არიან. „იუვეს" ეს მოჭარბებულად აქვს, თორემ ძლიერ საფეხბურთო ქვეყანაში სხვაგვარად ვერც ითამაშებ. აი, ასეთი თამაში მგვრის სიამოვნებას და ამ სიამოვნების გულისთვის ვცდილობ წასვლას.

**— „ბოავიშტასთან" პორტუგალიურ მატჩში რატომ ვერ ითამაშეს სხვებმა და რატომ გამოჩნდა შენი თამაში ასე თავგანწირულად?**

— არ მინდა ვინმეს შეურაცხყოფა მივაყენო, მაგრამ „ბოავიშტამ" ყველა რგოლში დაგვჯაბნა და გაგვანადგურა. ჯელაძე რომ გააგდეს, მივხვდი, განწირულები ვიყავით და გადავწყვიტე, არ ვიცი, ვინ როგორ, მე კი თავს დავდებმეთქი. თავიდან უკანა მცველად დავიწყე და ჯელაძის გაძევების მერე იმდენად ველარ მივდიოდი წინ, უფრო მეტოქის შეტევების მოგერიებას ვცდილობდი, მაგრამ როცა ყიფიანმა მეორე ტაიმში კუდინოვი შემოიყვანა ლიბეროდ და მე ნახევარდაცვაში წამწია, მთლად ავიშვი! აღარაფერი მახსოვდა, არც საკუთარი ფეხები და არც მეტოქისა: მთავარი იყო, მომესპო ისინი...

**— არ შეიძლება, ნაკრებზე არ ვთქვათ და, მოდი, იტალიის თამაშიდან დავიწყოთ. შენ როგორ მიგაჩნია, კარგად ითამაშეთ იტალიასთან? და საერთოდ, რას ეძახი კარგ თამაშს?**

— კარგ თამაშს მოგებას ვეძახი. კარგა ხანია მივხვდი, რომ მთავარი ტაბლოა. სწორედ ტაბლოა ყველაფრის მსაჯული. იგებ, ესე იგი, ყველაფერში სწორი ხარ, გამარჯვებულს არ ასამართლებენ. იტალიასთან კარგ თამაშად იმას ვთვლი, რომ არაფერი დაგვიზოგავს. იტალიამ, შესაძლოა, ბევრი გუნდი შეარცხვინოს, ჩვენ კი არაფერი დავუთმეთ. მაგრამ, ცხადია, ისინი უფრო ძლიერები იყვნენ იმ მატჩში, რაკილა მოგვიგეს...

**— ნუთუ მეტი პოტენცია არა გვაქვს და ევროპულ ლიდერებთან მუდამ მარცხისთვის ვართ განწირულნი?**

— პოტენცია როგორ არა გვაქვს. მათთან თამაშიც შეიძლება და მოგებაც.

**— ეთანხმები იმ აზრს, რომ სანამ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ გამოსწორდება...**

— მაშინ, ვისაც ეს საქმე აბარია, თავიდანვე თქვას, სანამ ჩვენი ცხოვრების დონე არ ამაღლდება, ვერაფერს ვიზამთ, არაფერი მოვითხოვოთ და შევეგუოთ აუტსაიდერობასო. თუ აცხადებენ, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზური უნდა მოვიპოვოთო, მაშასადამე, ვინც ამას ამბობს, აქვს იმის იმედი, რომ გუნდსაც ისე მოამზადებს და დააკმაყოფილებს, რომ ამ შედეგს მიაღწიოს. ეს ყველას ეხება — ფეხბურთელებიან-მწვრთნელებიან-ხელმძღვანელებიანად. თავისი საქმე ყველამ გულიანად უნდა აკეთოს, კეთილი ინებოს და საკუთარი კეთილდღეობა გვერდზე გადადოს. როცა ყველა ერთად დავდგებით და შევიკვრებით, მაშინ ავისრულებთ მიზანს, თუ, რა თქმა უნდა, სწორად დავსახავთ. მერე ერთმანეთს აღარავინ არაფერს გადააბრალებს. ერთად რომ ხართ და საქმე მაინც არ გამოგდის, ესე იგი, დამნაშავე ყველაა. ომი ბევრს წაუგია, მაგრამ მერე ერთმანეთისთვის არ დაუბრალებიათ. იმიტომ, რომ ყველა მონაწილეობდა იმ ომში. მე ომად მიმაჩნია ჩვენი თამაშები, რაკილა არაფერი ისე არ გაეხარდებათ დღეს საქართველოში, როგორც ჩვენი ნაკრების გამარჯვება.

**— შენი აზრით, მაინც ვისი და რისი ბრალია ნაკრების მარცხთა სერიალი?**

— ჩივაძის მდგომარეობაც მესმის და ბიჭებისაც. მე არავისთვის დამიბრალებია წაგება და არც არასოდეს დავაბრალებ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება მართლაც იყოს ვინმეს ბრალი. მე წაგებას იმიტომ არ დავაბრალებ არავის, რომ ვერ წარმომიდგენია, ვინმემ თუ რამე მოაკლოო ამ მატჩს. რადგან მწვრთნელი ამას ამბობს, ესე იგი, რაღაც ისეთს ხედავს ნაკრებში, რაც ბოჭავს მას, რასაც ბოლომდე ვერ ამბობს. ვგულისხმობ იმას, რომ თქვა, მერე ვიტყვი ყველაფერსო. მე, მაგალითად, ჩვენს წაგებას არც ჩივაძეს ვაბრალებ, არც ბიჭებს. ჩვენ ძალიან გვინდოდა მოგება, მაგრამ არ გამოგვივიდა, ულაპარაკოდ გვაჯობეს იმ მატჩში ინგლისელებმა. მოსასმენად ძალზე არასასიამოვნოა, როცა წაგებას გაბრალებენ. როცა მწვრთნელი ამბობს, რამდენიმე ფეხბურთელიო, შესაძლოა მეც მგულისხმობს. რადგან კონკრეტულად არ ასახელებს, ძნელი გასარკვევია და ეს არ მიმაჩნია სწორად.

პოტენცია კი არის. ბევრი მიფიქრია ამაზე. ბულგარეთი, რა, ჩვენზე ბევრით ძლიერია ეკონომიკურად? ვიყავი იქ და ვერაფერი ვნახე განსაკუთრებული. ძალიან არც გვჯობიან. ფეხბურთი კი აქვთ. ოთხი წელია ვყალიბდებით, ეტყობა, გასავლელი ეტაპი იყო და უნდა გაგვევლო.

**— უფრო შედეგიანად თუ შეიძლებოდა ამ ეტაპის გავლა?**

— რა თქმა უნდა, შეიძლებოდა, მაგრამ ყველაფერში არეულობამ თავისი კვალი ფეხბურთსაც დააჩნია. ქვეყანას უჭირს, უჭირს ყველა საქმეს, ფეხბურთი კი საქართველოსთვის ძალიან მტკივნეული სფეროა. განა ასევე ლოგიკური არ არის ის, რაც ოლიმპიელებს შეემთხვათ? ასეა, არეულ ქვეყანაში ყველაფერი არეულია.

**— რა შეგრძნება დაგეუფლა, როცა ინგლისთან მატჩის მერე მაყურებელმა ბოთლები ისროლა?**



— იმ ბოთლების სროლით მაყურებელმა პროტესტი გამოხატა. მე მიილე ის პროტესტი, ის ბოთლი მეც მესროლეს. არის მომენტები, როცა მაყურებლის შეურაცხყოფას შეურაცხყოფითვე ვპასუხობ, მაგრამ იმ დღეს ყველანი, მათ შორის მეც, ღირსი ვიყავით იმ ნასროლი ბოთლებისა. პირსახოცი შემოვიხვიე და, ხალხს რომ არ ვეცნე, ისე ჩავჯექი ავტობუსში. ორი დღე შინიდან გამოსვლა მრცხვენოდა.

**— შენი აზრით, იმ თამაშის მერე ჩივაძეს კრიტიკა სამართლიანი იყო თუ გადაჭარბებული?**

— ქართველი ჟურნალისტების კრიტიკულ წერილებს, ფაქტობრივად, ვეთანხმებოდი, რადგან საწინააღმდეგოს ვერაფერს მოვიფიქრებდი. მაგრამ, ჩემი აზრით, გამართლებული იქნებოდა, მარცხის მიზეზების ანალიზის მერე გამოტანილიყო დასკვნები. ეს ჩემი აზრია. თუმცა, თქვენი საქმისა თქვენ იცით, მე არავის ვიცავ. ჩემი აზრით, ჟურნალისტი ხალხის გულისნადებს და ნებას უნდა გამოხატავდეს და ამ შემთხვევაში სწორედ ასე მოხდა.

**— გახსოვს, საკუთარ კარში გოლები რომ გაგქონდა და მეტად მტკივნეულად აღიქვამდი კრიტიკას?**

— ყოველ შემთხვევაში, არავისთვის არაფერი მიკადრებია. თუ თავმოყვარეობა გაქვს, კრიტიკა მტკივნეულად უნდა აღიქვა, მაგრამ პირადად მე კრიტიკა მეხმარება, კონკურენციასავითაა: სურვილი მიჩნდება, რომ თამაშით დავუმტკიცო კრიტიკოსს საწინააღმდეგო. მაშინ ახალგაზრდობის, სიფიცხის და გამოუცდელობის გამო მომდიოდა ამგვარი რამ, ახლა კი მსგავსი აღარ განმეორდება.

**— ბოლოს და ბოლოს, რამე წინადადება თუ გამოჩნდა უცხოეთიდან?**

— „ტორპედოზე" მაინცდამაინც არ დამწყვეტია გული. ახლა მერაბ ჟორდანიაც ცდილობს და მეც, ალბათ გამოვა რამე. ყოველ შემთხვევაში, გადაწყვეტილია, რომ აქ აღარ დავრჩები. წასვლის გულისთვის არ მინდა წასვლა, მე ის მინდა, უცხოურ კლუბშიც დაოსტატების საშუალება და საბრძოლი მიზანი მქონდეს. ბოლო ორ თვეში სამი წინადადება მქონდა: „ოლბორგი", „ფრაიბურგი", და „ტორპედო". მიზეზთა გამო ვერცერთი მოხერხდა. ჯერ ვერ გეტყვი რომელი, მაგრამ ძალზე სერიოზულადაა დაინტერესებული ერთი ევროპული კლუბი...

**— საერთოდ რა კაცია ნუგზარ ლობჟანიძე?**

— ჩემი თავი დღეს იმ კაცად მიმაჩნია, რომელსაც ფეხბურთი ძალიან უყვარს და სანამ შემეძლება, ბოლომდე დავიხარჯები, ვერ ვუღალატებ. ცუდს არავის არაფერს ვუკეთებ. ბავშვობაში ძალზე გამხდარი ვიყავი, ნეკნები დამეთვლებოდა და რვა წლისას სკილეტა იმიტომ დამარქვეს.

ისე, უმადური კაცი არ არის სკილეტა. არ შეიძლება, ჩემი ბავშვობის მწვრთნელები, თამაზ დოდაშვილი და მერაბ გოგოლაძე არ ვახსენო, განა შემიძლია დავივიწყო ის, რომ გივი ნოდიამ მისცა ბიძგი ჩემს კარიერას? განა ყიფიანის ამაგი დამავიწყდება? როცა ძალზე კარგად ვიქნები, ყველას „ვალიდან" ამოვალ...

**მამუკა კვარაცხელია**

იტალიის „სამპდორიას“ მეკარე ფაბრიციო ფერონი ბოლო ტურის მატჩში ისე დაშავდა, რომ სამ ტურს გამოტოვებს. „კალიარის“ თავდამსხმელთან შეტაკებისას მან მუხლის ტრავმა მიიღო. „სამპდორიას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ფერონის იტალიის 21 წლამდე ნაკრების სათადარიგო მეკარე მატეო სერენი შეცვლის.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა და ნიგერი კონტინენტის ფეხბურთის კონფედერაციისთვის საწილო თანხის გადაუხდელობისთვის დაისაჯნენ. კონფედერაციამ ორივე ქვეყანას აუკრძალა გუნდების გაყვანა კონტინენტის საკლუბო ტურნირებში.

გერმანიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბაიერნის“ მცველი თომას ჰელმერი ექვსკვირიანი იძულებითი შესვენების შემდეგ კლუბს დაუბრუნდება. იგი მონაწილეობას მიიღებს „როტ ვაისთან“ ამხანაგურ მატჩში.

შოტლანდიის ნაკრები 1910 წლის შემდეგ პირველად ითამაშებს „კილმარნოკის“ სტადიონ „რაგბი პარკზე“. 29 მარტს შოტლანდიელები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ესტონელებს უმასპინძლებენ. ბოლოს სკოტებმა „რაგბი პარკზე“ 1910 წლის 5 მარტს ითამაშეს, როცა უელსი 1:0 დაამარცხეს. 29 მარტამდე, 11 თებერვალს ესტონეთ-შოტლანდიის გაუქმებული მატჩი ჩატარდება მონაკოში.

აშშ-ში, კერძოდ ნიუ-იორკში გადაწყვეტილია ჩატარდეს მატჩი ისრაელისა და პალესტინის ეროვნულ გუნდებს შორის. შეხვედრა სექტემბერშია ნავარაუდევი. „ბედნიერი ვიქნებით, თუ ამ მატჩის ორგანიზაციას შევძლებთ“ — განაცხადა ფიფას 80 წლის პრეზიდენტმა ჟოაო აველანჟმა.

ინგლისის პრემიერლიგის აუტსაიდერმა „მიდლსბრომ“ 2,7 მილიონ გირვანქად შეიძინა მილანის „ინტერის“ 27 წლის მცველი ჯანლუკა ფესტა. იტალიელი სამედიცინო შემოწმებას გაივლის, შაბათს კი, შესაძლოა, „შეფილდ უენსდეისთან“ ითამაშოს. მეორე იტალიელი, „ნაპოლის“ მცველი მირკო ტაკოლა აპენინებზე დაბრუნდა „მიდლსბროსთან“ შეუთანხმებლობის გამო.

იტალიის „იუვენტუსის“ წარმომადგენელთა განცხადებით, მათ სურთ შეიძინონ მიუნხენის „ბაიერნის“ ვარსკვლავი იურგენ კლინსმანი. იტალიელებმა ფორვარდის შეძენა მას შემდეგ გადაწყვიტეს, რაც ხორვატი ალენ ბოქშიჩი დაახლოებით ორი თვით გამოაკლდა კლუბს.

ინგლისში პრემიერლიგის მაჩანჩალა „მიდლსბრო“ ფედერაციამ 3 ქულის ჩამოკლებით და 50 ათასი გირვანქით დააჯარიმა „ბლექბერნთან“ გადადებული მატჩის უთამაშებლობის გამო. „მიდლსბროს“ ახლა 15 ქულა აქვს და ოთხით ჩამორჩება ბოლოდან მეორე ადგილზე მყოფ „საუთჰემპტონს“.

იტალიელი ვარსკვლავის პაოლო მალდინის შეძენა მოისურვა ინგლისურმა „ჩელსიმ“. კლუბის მოთამაშე მწვრთნელმა რუუდ გულიტმა განაცხადა, რომ მზადაა 17 მილიონი გირვანქა გადაიხადოს მალდინიში. ეს გარიგება, თუ შედგა, გადააჭარბებს მსოფლიოში აქამდე ყველაზე ძვირადღირებულს — „ნიუკასლის“ მიერ შირერში გადახდილ 15 მილიონ გირვანქას. აღსანიშნავია, რომ „ჩელსიში“ უკვე სამი იტალიელია: ჯანლუკა ვიალი, ჯანფრანკო ძოლა და რობერტო დი მატეო.

არგენტინაში სასამართლოს გადაწყვეტილებით დაატუსაღეს დიეგო მარადონას მენეჯერი გილერმო კოპოლა. მას ნარკოტიკების შენახვაში დაედო ბრალი. ოქტომბერში, გამოძიებისას, კოპოლას შინ ლარნაკში ჩამალული 400 გრამი კოკაინი უპოვეს. თავად კოპოლამ დანაშაული არ აღიარა და განაცხადა, პოლიციამ ეს ამბავი მომიწყოო. მის გარდა, ამ საქმესთან დაკავშირებით დააკავეს სამი პოლიციელი, ორი ქალი და ყოფილი ფეხბურთელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ალბერტო ტარანტინი.

სამხრეთ აფრიკის სპორტის მინისტრმა სტივ ცვეტემ მოითხოვა ფეხბურთის ასოციაციის პრეზიდენტის სოლომონ მორევას გადადგომა. „კომისიამ გადაწყვიტა, რომ იგი უნდა წავიდეს“ — განაცხადა ცვეტემ. მისი თქმით, მორევა შეკრული იყო ქვეყნის საუკეთესო კლუბის „კაიზერ ჩიფსის“ პრეზიდენტთან კაიზერ მოტაუნგთან და ერთ-ერთი კომპანიის პრეზიდენტთან ბრაიან მალინთან. ეს სამეული თანამდებობებს გამდიდრების მიზნით იყენებდა და ამით ქვეყნის ფეხბურთს აზიანებდა. ცვეტემ ისიც თქვა, რომ მორევა ფეხბურთის ასოციაციის კუთვნილ თანხას იტაცებდა. საპასუხოდ ბრალდებულმა განაცხადა, რომ ელდანაცემია მომხდარით და ყველაფერი, რაშიც ბრალი ედება, მოჩმახულია.

შოტლანდიის „აბერდინის“ ხელმძღვანელობამ ოფიციალურად მოუხადა ბოდიში „გლაზგო რეინჯერსის“ გულშემატკივრებს უმსგავსო საქციელის გამო: ამ კლუბების შეხვედრის წინ ჯორჯ იანგის ხსოვნისთვის წუთიერი დუმილით პატივისცემისას „აბერდინის“ ფანებმა ღრიალი ატეხეს. „ეს საშინელი რამ იყო, შოტლანდიური ფეხბურთის ისტორიაში სამარცხვინო რამ მოხდა“ — განაცხადა „რეინჯერსის“ მწვრთნელმა უოლტერ სმიტმა.

ინგლისში, სახელდობრ, ლივერპულში პოლიციას ცრემლსადენი გაზისა და ძაღლების გამოყენება მოუხდა დაახლოებით 100 კაცის დასაშლელად. სასტუმროს რესტორანი, სადაც „ლივერპულის“ რამდენიმე მოთამაშე იმყოფებოდა, სხვებისთვის დაკეტეს. ამან არეულობა და ჩხუბი გამოიწვია. პოლიციამ ძალა იხმარა. მეორე დღეს „ლივერპულის“ წარმომადგენელმა იან კოტონმა განაცხადა: „კლუბის მოთამაშეები დამნაშავენი არ არიან. სასტუმროს პატრონებმა ბოდიში მოგვიხადეს და გვითხრეს, რომ ფეხბურთელები უდანაშაულონი არიან“.

ნორვეგიელი ჰენინგ ბერგის ტრანსფერი „ბლექბერნიდან“ „მანჩესტერ იუნაიტედში“ არ შედგა. მანჩესტერელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, რომ კლუბმა გადაწყვიტა, აღარავინ დაიმატოს. მისივე თქმით, „იუნაიტედში“ ყველა იმ ფეხბურთელმა მოიყარა თავი, ვისი ყოლაც მას სურდა. „ბლექბერნი“ ნორვეგიელში 5 მილიონ გირვანქას ითხოვდა.

გერმანელმა ოტმარ ჰიცფელდმა, რომელიც დორტმუნდის „ბორუსიას“ თავკაცობს, განაცხადა, რომ არ გადადის ლა კორუნიაში, სადაც მას „დეპორტივოს“ მწვრთნელობა შესთავაზეს. „ბორუსიასთან“ კონტრაქტი 1999 წლამდე მაქვს. ჩემი მომავალი აქაა. მინდა, ჩემპიონთა ლიგა მოვიგო „ბორუსიასთან“ ერთად“ — განაცხადა ჰიცფელდმა ჟურნალისტებთან საუბრისას.

რუმინეთის ერთ-ერთი ქვედა ლიგის კლუბის მოთამაშე-მწვრთნელი გახდა ექვსი თვის ბავშვი. კარაგელეს დასახლების კლუბის მფლობელმა აურელ რუსემ განაცხადა, რომ სურს მისი შვილი დიდი ფეხბურთელი გახდეს და ამიტომ ლუსიანი ჩვილობიდანვე ჩააბა დიდ სპორტში.

პორტუგალიურმა „ბოავიშტამ“, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში თბილისის „დინამოს“ გამამწარებელმა, წელს მეორე მწვრთნელი გამოიცვალა. ზორან ფილიპოვიჩი პირველი წრის შუახანს გადააყენეს. მის ნაცვლად ჟოაო ალვეში მიიწვიეს, თუმცა „სალგეიროსთან“ 2:3 დამარცხების შემდეგ ისიც მის გზას გაუყენეს. „ბოავიშტა“ ახლა მე-13 ადგილზეა.

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის ლიდერმა „კაიზერსლაუტერმა“ შეისყიდა ახალზელანდიელი ვინტონ რუფერი. რუფერი ექვსი წელი „ვერდერში“ თამაშობდა, 1993 წელს კლუბთან ერთად გერმანიის ჩემპიონიც გახდა, შემდეგ კი საქმეები უკან-უკან წაუვიდა და 1995 წლის შემდეგ იაპონიის ჯეი-ლიგის კლუბს „ჯეფ იუნაიტედ იშიხარაში“ თამაშობდა.

პოლონელი მარეკ საგანოვსკი როტერდამის „ფეიენოორდმა“ გერმანულ „ჰამბურგს“ მიჰყიდა. 18 წლის ფორვარდი „ჰამბურგის“ მეორე პოლონელია. მანამდე გერმანელებმა ლოძის „ვიძევიდან“ 1,3 მილიონ დოლარად პაველ ვოიტალა შეისყიდეს.

ესპანელი პეპე კარსელენი გადადგა ბარსელონის „ესპანიოლის“ მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან, თუმც კლუბიდან არ წასულა. სეზონის წინ მან „სევილიაში“ წასული ხოსე ანტონიო კამაჩო შეცვალა, თუმცა მისი ხელმძღვანელობით კლუბი ახლა მე-16 ადგილზეა. „ესპანიოლის“ ახალ მწვრთნელად დაინიშნა ვისენტე მიერა.

ჩეხეთის ნაკრების მეკარე პაველ სრნიჩეკმა „ნიუკასლიდან“ წასვლა მოისურვა. პრემიერლიგის ამ კლუბში იგი 1991 წელს მივიდა ოსტრავის „ბანიკიდან“. წინა წელს ჩემპიონობის დაკარგვაში სწორედ სრნიჩეკი დაადანაშაულეს, ამ სეზონში კი ძირითადში ადგილი შაკა ჰისლოპს არგუნეს. „მინდა უმაღლეს დონეზე ვითამაშო. ნაკრებში ისე ვერ მოხვდები, თუ სათა-

## ფეხბურთის რუკასთან



მაშო პრაქტიკა არ გაქვს. ფეხბურთით ვცხოვრობ, სათადარიგოთა სკამზე კი ვერ გავჩერდები“. — განაცხადა სრნიჩეკმა.

ხორვატი ელვის ბრაიკოვიჩი სერია B-ს კლუბ „ვერონაში“ გადავიდა. 26 წლის მცველი ადრე „რიეკაში“ და „მიუნხენ 1860“-ში თამაშობდა. „ვერონა“ ბოლოდან მეორეა და ლიგაში დასარჩენად იბრძვის. „ვიცი, ახალი კლუბი ამ სეზონში პირველობისთვის ვერ იბრძოლებს. ვოცნებობდი იტალიაში თამაშზე. ვფიქრობ, ცოტათი მაინც დავეხმარები კლუბს მდგომარეობის გაუმჯობესებაში“ — განაცხადა ბრაიკოვმა.

იტალიის „ბოლონიას“ მწვრთნელმა რენცო ულივიერიმ საჯაროდ მოიბოდიშა უხამსი გამოთქმების გამო. ბოლო ტურში „პარმასთან“ შინ წაგებამ ულივიერი ძალზე გააღიზიანა და პრეს-კონფერენციაზე ერთი-ორჯერ შეიკურთხა კიდეც. პრეს-კონფერენცია პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მისი სიტყვები ტელემაყურებელმაც გაიგონა. „არ ვიცოდი, პირდაპირ თუ იყო. ყველას დიდ ბოდიშს ვუხდი. ასეთი რამ აღარ გამეორდება.“ — მოიბოდიშა ულივიერიმ. იგი იმითაა ცნობილი, რომ ოფისში ლენინის ბიუსტი უდგას.

ჩინეთის ჩემპიონმა „ვანდამ“ ორი შვედი ფეხბურთელი შეისყიდა — „უმეას“ მოთამაშე კრისტალ ლუნდგრენი და „ორებროს“ მაგნუს სკოლდმარკი. ჩინურ კლუბში ადრეც ირიცხებოდა ორი შვედი. შვედური გაზეთების ცნობით, ლუნდგრენის კონტრაქტი 1997 წლის ოქტომბრამდეა და „ვანდაში“ გადასვლისთვის მან 142 ათასი დოლარი მიიღო.

საფრანგეთის ნაკრები 22 იანვარს ბრაგაში პორტუგალიელებს შეხვდება. ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში პირველად გამოიძახეს „მილანის“ ფორვარდი დუგარი, ხოლო „მონაკოს“ მცველი პატრიკ ბლონდი და „ბორდოს“ ახალგაზრდა ნახევარმცველი იბრაჰიმ ბა ნაკრებში პირველად მიიწვიეს. საბოლოოდ დადგინდა იმ 18 კაცის სია, ვინც პორტუგალიელებთან სათამაშოდ მოემზადება: მეკარეები ფაბიენ ბარტეზი, კრისტოფ რევო; მცველები ლორან ბლანი, პატრიკ ბლონო, ვინსენ კანდელა, მარსელ დესაი, ბრუნო ნგოტი, ლილიამ ტურამი; ნახევარმცველები იბრაჰიმ ბა, დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი, კრისტიან კარემბე, პიერ ლეილო; თავდამსხმელები: იური ჯორკაეფი, კრისტოფ დუგარი, ფრენკ გავა, პატრის ლოკო, რობერ პერესი.



GUERIN SPORTIVO

ვენეიბლზი უკვე გაავსტრალიელებულა: იქაური ქუდითა და ბუმერანგით

ზამბიის კლუბ „პაუერ დინამოს“ მოთამაშეებმა განაცხადეს, რომ თუ კლუბის ხელმძღვანელობა მათ სავარჯიშო ბუცებს არ დაუბრუნებს და ფეხშიშველა ვარჯიშს არ აკრძალავს, არ ივარჯიშებენ. კლუბის 12-მა მოთამაშემ დატოვა ბაზა და სახლებში გაეშურა.

ავსტრალიის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, ინგლისელმა ტერი ვენეიბლზმა განაცხადა, რომ ამ კონტინენტის ნაკრები დაახლოებით უნგრეთისა და ავსტრიის დონისაა. მანვე თქვა, რომ 2 აპრილს ავსტრალია უნგრეთს ესტუმრება ამხანაგურად სათამაშოდ. მანამდე კი ადელაიდაში ტარდება „ქალაქის თასის“ გათამაშება, სადაც მასპინძლების გარდა ახალი ზელანდია, სამხრეთ კორეა და ნორვეგია ითამაშებენ.

ბრაზილიაში [illegible] რიო დე ჟანეიროს ჩემპიონატის ჩატარება. შტატის [illegible] სამმა [illegible] კლუბმა „ფლამენგომ“, „ფლუმინენსემ“ და „ბოტაფოგომ“ არეული კალენდრის გამო უარი განაცხადეს ჩემპიონატში მონაწილეობაზე. ორშაბათს კლუბების ხელმძღვანელები შეიკრიბნენ და მოითხოვეს ტურნირის გათამაშების სხვა ვარიანტი. ფედერაციამ მათი მოთხოვნა დააკმაყოფილა. ზემონახსენები სამი კლუბი და „ვასკუ და გამა“ პირველ წრეში თავისუფალნი არიან, მეორეში კი ძლიერ მეტოქეებს შეხვდებიან.

ინგლისის თასის გათამაშების მესამე წრეში მოყვარულთა ლიგის გუნდმა „ჰედნესფორდმა“ მეორედივიზიონელი „იორკი“ გააგდო. ორ კვირაში თასის გათამაშების მეოთხე წრეში კლუბი უმასპინძლებს პრემიერლიგის აუტსაიდერ „მიდლსბროს“. ამავე ეტაპის მატჩი „ბრენტფორდი“ — „მანჩესტერ სიტი“ კვლავ გადაიდო. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: ბარნსლი — ოლდემი 2:0, ნოთს ქაუნთი — ასტონ ვილა 0:0, ჰადერსფილდი — ქუინზ პარკი 1:2, კრისტალ პალასი — ლიდსი 2:2


# ბავშვთა კვება



# Gerber

## ახალი სიცოცხლის უმშვენიერესი დასაწყისი

### ამერიკული და მსოფლიო ბაზრის აღიარებული ლიდერის გერბერის პატარა ქილებში თქვენი შვილების გოლიათური ჯანმრთელობაა

Gerber კომპანია გერბერის პროდუქციაში არ გამოიყენება არანაირი ქიმიური კონსერვანტი

Gerber 1928 წლიდან მოყოლებული კომპანია გერბერმა დაამზადა 60 მილიარდამდე საკვები პროდუქტის შესაფუთი და არ ყოფილა პროდუქტის მიკრობიოლოგიური დაბინძურების არცერთი შემთხვევა. შესაბამისად — პროდუქტის თერმოგადამუშავებასთან დაკავშირებული მოწამვლის არცერთი ფაქტი.

Gerber ამერიკის ზრდასრული მოსახლეობის ნახევარზე მეტი თავის დროზე „გერბერის ჩვილი“ იყო.

ფირმა გერბერი 1928 წლიდან უზრუნველყოფს ამერიკის შეერთებული შტატების ბავშვთა უმრავლესობისა და მილიონობით პატარის კვებას მთელ მსოფლიოში.

# „ნიუკასლი“ დალგლიშს ელოდა?



ტერი მაკდერმოტი, ჯონ ჰოლი და კენი დალგლიში პრეს-კონფერენციაზე

**კენი დალგლიში**

დაიბადა 1951 წლის 4 მარტს გლაზგოში
1966 წელს თამაშობდა შოტლანდიის მოსწავლეთა ნაკრებში
1969 წელს „სელტიკში“ აიყვანეს
1977 წელს 40 ათას გარვანქად „ლივერპულში“ გადავიდა
1979 წელს წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა
1983 წელს წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა
1985 წელს გახდა „ლივერპულის“ მწვრთნელი

1991 წელს „ლივერპულიდან“ წავიდა და იმავე წლის სექტემბერში დაინიშნა „ბლექბერნის“ მწვრთნელად.

1992 წელს 3,3 მილიონად „საუთჰემპტონისგან“ იყიდა ალან შირერი, რითაც ბრიტანული ტრანსფერის რეკორდი დაამყარა.

1994 წელს 5 მილიონად „ნორვიჩისგან“ იყიდა კრის სატონი, რითაც ტრანსფერის ახალი რეკორდი დაამყარა.

1995 წელს „ბლექბერნი“ 81-წლიანი პაუზის შემდეგ კვლავ ინგლისი ჩემპიონი გახადა, თვითონ კლუბში ფეხბურთის დირექტორის თანამდებობაზე გადავიდა, მწვრთნელის პოსტი კი რეი ჰარფორდს დაუთმო.

1996 წელს „ბლექბერნი“ დატოვა და „გლაზგო რეინჯერსის“ თავმჯდომარის დევიდ მიურეის კომპანია „კარნეგი სპორტს ინტერნეიშნლში“ ბიზნესის განვითარების მენეჯერად დაიწყო მუშაობა.

1997 წელს „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელი გახდა.

ფეხბურთელობისას: „სელტიკში“ (1969-74). 324 თამაშში 167 გოლი. შოტლანდიის ჩემპიონი 1971-72, 1973-74, 1976-77. შოტლანდიის თასის მფლობელი 1972, 1974, 1975, 1977.

„ლივერპულში“ (1977-90). 515 თამაშში 173 გოლი. ინგლისის ჩემპიონი 1978-79, 1979-80, 1981-82, 1982-83, 1983-84. ფეხბურთის ასოციაციის თასი 1986. ლიგის თასი 1981, 1982, 1983, 1984. ევროპის ჩემპიონთა თასი 1978, 1981, 1984.

შოტლანდიის ნაკრებში ჩაატარა 102 თამაში (რეკორდია), გაიტანა 30 გოლი (გაუტოლდა დენის ლოუს რეკორდს). მონაწილეობდა 1974, 1978 და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატებში.

მწვრთნელობისას: „ლივერპულში“ (1985-91). ინგლისის ჩემპიონი 1985-86, 1987-88, 1989-90; ფეხბურთის ასოციაციის თასი 1986, 1989.

„ბლექბერნში“ (1991-95). ინგლისის ჩემპიონი 1994-95.

სამშაბათს კენი დალგლიში „ნიუკასლ იუნაიტედის“ მწვრთნელად დაინიშნა. მან ამ თანამდებობაზე ექვსი დღით ადრე გადამდგარი კევინ კიგანი შეცვალა. ასეთი რამ 20 წლის წინათაც მოხდა, როდესაც „ჰამბურგში“ წასული კიგანის მაისური №7 „ლივერპულში“ დალგლიშმა მოირგო. პირველი ნაღდი გამოცდა („ჩარლტონთან“ წუხანდელ თასის თამაშს თუ არ ჩავთვლით) ახალ მწვრთნელს შაბათს „საუთჰემპტონთან“ ელის. „საუთჰემპტონს“, მოგეხსენებათ, სათავეში უდგას გრემ სუნესი, კაცი, რომელმაც დალგლიში „ლივერპულში“ ექვსი წლის წინ შეცვალა.

ისტორიის ბზრიალი აქ არ მთავრდება. ოცი წლის წინ, დალგლიშმა „ლივერპულში“ პირველი თამაში რომ ჩაატარა მიდლსბროში, გოლი შეაგდო. მაშინ, ის გოლი ტერი მაკდერმოტის პასით გავიდა. დღეს მაკდერმოტი „ნიუკასლში“ მეორე მწვრთნელად და ძველ თანაგუნდელთან კვლავ თანამშრომლობა მოუწევს. დალგლიშის მეორე ასისტენტი არტურ კოქსი იქნება.

— ტერი მაკი სამსახურში დარჩება — განაცხადა ახალმა შეფმა — მე მას კარგად ვიცნობ და ვენდობი. არტურზეც იმავეს ვიტყვი. მან „ნიუკასლში“ ყველაფერი იცის და შეუძლია ბევრი რამ მასწავლოს.

ფეხბურთელობისას, „ენფილდ როუდზე“ დალგლიშის დებიუტი... „ნიუკასლთან“ შედგა. დალგლიშმა მაშინაც გაიტანა.

„სენტ ჯეიმს პარკზე“ მწვრთნელი სამ წელიწადს და ექვს თვეს გაატარებს. ახალ გუნდში მას ზემოხსენებულთა გარდა სხვა ნაცნობების ნახვაც მოუწევს. მაგალითად, ვეტერანი პიტერ ბერდსლი, ფეხბურთელი, რომელიც ოდესღაც „ლივერპულში“ მან მიიყვანა. ანდა ალან შირერი და დევიდ ბეტი, „ბლექბერნში“ მისი გადაყვანილები.

დალგლიში „ნიუკასლის“ დირექტორებს კიგანის შემცვლელად შეგულებული ჰყავდათ, მაგრამ ბობი რობსონის შემდეგ. პირველი არჩევანი „ბარსელონას“ თავკაცი იყო. მან უარი განაცხადა, ჩემი ოდინდელი ოცნება „ბარსას“ მწვრთნელობა და ესპანეთის ჩემპიონობააო, ამიტომაც „ნიუკასლის“ თავმჯდომარე სერ ჯონ ჰოლი და მისი კოლეგები ძველ ლივერპულელს დასჯერდნენ. ძველ ლივერპულელს კი დიახაც, სურდა კიგანის თანამდებობაზე მისვლა.

— კევინმა აქ უმყარესი საფუძველი ჩაყარა და ყველა აფასებს მის ამაგს „ნიუკასლის“ წინაშე. მე ფეხბურთში დაბრუნებაზე დამშეული არ ვიყავი, მაგრამ როდესაც ასეთი სამუშაო თავად მოდის შენთან, ძნელია უარის თქმა. თავიდან, კიგანის გადადგომის ამბავი რომ გავიგე, ვიფიქრე, ხუმრობაა-მეთქი და ტერი მაკდერმოტს დავურეკე. წუხელ ველაპარაკე დირექტორებს ფრედი ფლეტჩერს, ფრედი შეფერდს და თავმჯდომარის ჯონ ჰოლის ვაჟს დუგლასს. მათ მითხრეს, რომ ყველაფერს თავის დროზე მეტყვიან. დღეს მართლაც მითხრეს და მეც კონტრაქტს ხელი მოვაწერე — თქვა პრეს-კონფერენციაზე დალგლიშმა და განაგრძო — არის ერთი მომენტი, რომელსაც საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა. ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ იყო შემთხვევა, როდესაც გუნდი კონტრაქტზე გათვალისწინებულზე ადრე დავტოვე. ეს გახლდათ „ლივერპული“. ახლაც მახსოვს, ფეხბურთში დაბრუნებას არაფრისდიდებით ვაპირებდი, მაგრამ დრომ აზრი შემაცვლევინა და ახლა აგერ, აქ ვარ. ოჯახსაც აქეთ გადმოვიყვან. არ შემიძლია მუშაობა, როდესაც ვიცი, რომ სახლში არავინ მელოდება.

თუ „ნიუკასლი“ ინგლისის ჩემპიონად გახადა, კენი დალგლიში გახდება პირველი მწვრთნელი, რომელიც სამ სხვადასხვა გუნდს მიიყვანს ინგლისურ ტიტულთან. 1990 წელს მან „ლივერპული“ აიყვანა კვარცხლბეკზე, 1995 წელს კი „ბლექბერნი“.

— ეს ყველაფერი სტატისტიკაა. მე კი, რაკიღა შეჯიბრებაში ვიღებ მონაწილეობას, ბუნებრივია, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებ.

დალგლიშის დარად ორი გუნდი გაახემპიონეს ჰერბერტ ჩეპმენმა და ბრაიან კლაფმა, შოტლანდიელს კი, რომელიც მხოლოდ 45 წლისაა, ჯერ შესაძლოა უამრავი სამწვრთნელო რეკორდი აქვს დასამხობი. თუ „ნიუკასლმა“ ტიტული მოიპოვა, ეს გუნდის უდიდესი შედეგი იქნება 1927 წლის შემდეგ.

ბოლოს კი კენი დალგლიშის ბიოგრაფიის თუ ბედის კიდევ ერთი შტრიხი: მის კარიერაში იყო ორი მძიმე დღე, „ეიზელი“ და „ჰილსბორო“. 1985 წელს, ბრიუსელში, ჩემპიონთა თასის ფინალში მომხდარი ტრაგედიის დროს და 1989-ში შეფილდის ტრაგედიის დროსაც დალგლიში იქ იყო და საკუთარი თვალით უყურებდა ადამიანების სიკვდილს. „ჰილსბოროზე“ „ლივერპულის“ 96 ქომაგის სიცოცხლე შეიწირა ჭყლეტამ და პანიკამ, „ეიზელზე“ ჩხუბმა და ტრიბუნის ჩანგრევამ იმსხვერპლა 35-მდე კაცი.

„ჰილსბოროს“ შემდეგ დალგლიშმა თითქოს რაღაც დაკარგა, ნელ-ნელა კრიტიკის ობიექტად იქცა და „ლივერპულიდან“ წავიდა, მაგრამ „ბლექბერნში“ მიბრუნდა და კვლავ მწვერვალზე ავიდა. შემდეგ აქედანაც წავიდა, სადღაც უწყინარი სამუშაო იშოვა და გოლფის მოედანზე მოუხშირა გასართობად სიარულს. და იგი კვლავ საქმეშია. ინგლისის ჩემპიონის ტიტული ისევ დალგლიშს ელის.

**ბაპუნა ძედია**

## იტალიაშიც იტყუებიან

ერთ-ერთ სატელევიზიო სპორტულ გადაცემაში იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა პაოლო კაზარინიმ თქვა, სერია A-ს მოთამაშეები ხშირად სიმულიანტობენ არბიტრზე ზეგავლენის მოსახდენადო. მის ამ სიტყვებს ბევრი გამოეხმაურა. მილანის „ინტერის“ მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა აღნიშნა: „რასაც ინგლისში მოთამაშეები ითაკილებენ, იმაზე იტალიაში არც კი დაფიქრდებიან. ყოველ ტურში, ტელევიზიით, ვნახულობ მოთამაშეთა საზიზღარ ქცევებს. თავიანთი მოქმედებით ისინი მუდამ მსაჯის გაცუცურაკებაზე ფიქრობენ. მსაჯები საშინელი გამოცდის წინაშე დგანან. იტალიაში თუ იტყვიან, ესა და ეს მსაჯს ატყუებსო, ამას კომპლიმენტად აღიქვამენ, ისე ესმით, თითქოს სასიკეთო საქმეს აკეთებდეს. ინგლისში ასეთი რამ ფეხბურთელზე რომ თქვა, მას უსინდისოდ მიიჩნევენ.“ „მსაჯსა და ფეხბურთელს შორის ურთიერთობა პატიოსნებას ემყარება. თუ პატიოსნად თამაშობენ, მსაჯსაც საქმე უადვილდება და თამაშიც კარგი სანახავია. რა თქმა უნდა, მარტო ფეხბურთელებიც არ არიან დამნაშავენი, ზოგიერთი მსაჯიც მოიკოჭლებს“ — განაცხადა კაზარინიმ. ჰოჯსონის გარდა აზრი გამოთქვეს სერია A-ს კლუბების ფეხბურთელებმაც. „პარმას“ ანტონიო ბენარივომ, ცხადია იტალიის სპორტული კულტურა განსხვავდება ინგლისურისგან, თუმცა არც ისეთი ცუდია, როგორც ამას მავანნი გვიხატავენო, თქვა. „რომას“ კაპიტანმა ამადეო კარბონიმ ჰოჯსონი გააკრიტიკა: „მისი კომენტარები არაობიექტური, სულელურია და ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული“. იტალიელ მოთამაშეთა კავშირის პრეზიდენტმა სერჯო კამპანამ კი წაიფილოსოფა — ლათინებსა და ანგლო-საქსებს კულტურაში და ადათებში განსხვავება ოდითგანვე მოგვდევს და ეს სხვაობა ფეხბურთშიც რომ იყოს, რა გასაკვირიაო.

## მიდიოდა, მაგრამ...

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში საქართველოს მეტოქის, პოლონეთის ნაკრების ფორვარდ მარეკ ციტკოთი დაინტერესდა ინგლისის 1995 წლის ჩემპიონი „ბლექბერნი“. ოქტომბერში „უემბლიზე“, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში, პოლონეთის ნაკრების შემადგენლობაში ციტკომ გოლი გაუტანა ინგლისელებს. ციტკოს ამჟამინდელმა კლუბმა, ლოძის „ვიძევმა“ მოთამაშეში ოთხი მილიონი გირვანქა მოითხოვა, თუმცა, როგორც მოგვიანებით გაირკვა, პოლონელი ინგლისურ კლუბს მომავალ სეზონამდე ვერ შეუერთდება, რადგან „ვიძევთან“ მის კონტრაქტს 30 ივნისს გაუდის ვადა.

## შოტლანდია

გამოტოვებული მატჩი. რეითროვერსი — სელტიკი 1:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 22 | 18 | 2 | 2 | 59:19 | 56 |
| სელტიკი | 22 | 15 | 3 | 4 | 56:23 | 48 |
| დანდი იუნ. | 23 | 10 | 6 | 7 | 31:20 | 36 |
| ჰართსი | 23 | 9 | 6 | 8 | 34:33 | 33 |
| აბერდინი | 23 | 8 | 6 | 9 | 32:36 | 30 |
| დანფერმლაინი | 22 | 8 | 5 | 9 | 34:44 | 29 |
| ჰიბერნიანი | 23 | 6 | 5 | 12 | 24:38 | 23 |
| მოზერველი | 22 | 5 | 6 | 11 | 22:39 | 21 |
| კილმარნოკი | 21 | 6 | 2 | 13 | 25:42 | 20 |
| რეით როვერსი | 23 | 5 | 3 | 15 | 18:41 | 18 |

## ესპანეთი

XIX ტურის ცენტრალური მატჩი

**ბარსელონა 2:3 ერკულესი**

**1:0 ლუის ენრიკე (9), 2:0 რონალდო (15), 2:1 პავლიჩიჩი (33), 2:2 ვისნიჩი (43), როდრიგესი (55)**

„ბარსას“ მწვრთნელმა ბობი რობსონმა იქნებ ინანა კიდეც „ნიუკასლ იუნაიტედს“ კიგანის შეცვლაზე უარი რომ უთხრა. „ნოუ კამპი“ შოკში ჩავარდა, როდესაც გუნდმა, რომელსაც მიმდინარე სეზონში სტუმრად ერთი ქულაც ვერ მოეპოვებინა 2:0 შეუტრიალა და ერთბაშად სამი აართვა. კატალონიელი ქომაგები ხელებს იფშვნეტდნენ, ცხრილის სათავეში მოსაქცევად ემზადებოდნენ, მაგრამ ვაგლახ... დღის დამთავრება რობსონის გინებით მოუხდათ. უდიდესი გუნდის ბოლო წლების ყველაზე მწარე მარცხმა კლუბის ოფისში რეკვები და ინგლისელი მწვრთნელის გადადგომის მოთხოვნა გამოიწვია. „ბარსელონას“ ეს მარცხი მადრიდის „რეალისთვის“ საოცარი საჩუქარი გახლდათ. „რეალმა“ ხომ ამავე ტურში შინ „ესტრემადურას“ ვერ მოუგო (0:0).

არადა, ყველაფერი ლოგიკურად დაიწყო. თამაშის დაწყებიდან რვა წუთს წამები რომ გადაცდა, ლუის ენრიკემ ლუიშ ფიგუსთან გათამაშებული კომბინაციით მიგელ მარის კარი დალაშქრა. მე-15 წუთზე რონალდომ ჩვეულად გაიბრწყინა, სტუმართა მეკარე გააოგნა და ანგარიში გაზარდა. მასპინძლებს მეტიც შეეძლოთ, მაგრამ ივან დე ლა პენიამ და ხოსე გვარდიოლამ შესაძლებლობები გაუშვეს ხელიდან.

შემდეგ კი რობსონის გუნდს დაცვა შეუდრკა. გვარდიოლას 33-ე წუთზე სახიფათო მომენტის განმუხტვა უნდოდა, მაგრამ ნაცვლად ამისა, დუბრავკო პავლიჩიჩს გოლი გაატანინა. „ნოუ კამპზე“ გოლის გატანით გათამამებულმა ერკულესელებმა ათ წუთში მეორეც შეაგდეს. იუგოსლაველმა ნახევარმცველმა იოსიფ ვისნიჩმა გამოავლინა ოსტატობა. მეორე ტაიმის დაწყებიდან ათი წუთის შემდეგ კი ედუარდო როდრიგესმა დაკარგული ბურთი დაიბრუნა, თავისი მეურვე ჩამოიშორა და გამარჯვების გოლი შეაგდო. აქედან მოყოლებული კატალონიის გუნდმა საქმის გამოსასწორებლად ყველა ღონე იხმარა, მაგრამ ვერა შესძლო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 19 | 12 | 7 | 0 | 35:13 | 43 |
| ბარსელონა | 19 | 12 | 4 | 3 | 50:24 | 40 |
| დეპორტივო | 19 | 10 | 8 | 1 | 26:10 | 38 |
| ბეტისი | 18 | 10 | 6 | 2 | 37:15 | 36 |
| ატლეტიკო | 19 | 10 | 5 | 4 | 38:23 | 35 |
| სოსიედადი | 19 | 10 | 4 | 5 | 26:21 | 34 |
| ვალიადოლიდი | 19 | 8 | 6 | 5 | 24:21 | 30 |
| ტენერიფე | 19 | 8 | 4 | 7 | 33:21 | 28 |
| ბილბაო | 19 | 7 | 7 | 5 | 31:26 | 28 |
| ვალენსია | 19 | 8 | 3 | 8 | 28:24 | 27 |
| რასინგი | 19 | 6 | 8 | 5 | 20:20 | 26 |
| სელტა | 19 | 6 | 6 | 7 | 21:23 | 24 |
| რაიო | 18 | 6 | 5 | 7 | 23:21 | 23 |
| ოვიედო | 19 | 6 | 4 | 9 | 23:27 | 22 |
| კომპოსტელა | 19 | 5 | 5 | 9 | 17:32 | 20 |
| ესპანიოლი | 19 | 5 | 4 | 10 | 21:28 | 19 |
| სპორტინგი | 18 | 4 | 6 | 8 | 18:24 | 18 |
| ლოგრონიესი | 19 | 5 | 3 | 11 | 14:42 | 18 |
| სევილია | 18 | 5 | 2 | 11 | 15:27 | 17 |
| ერკულესი | 19 | 4 | 3 | 12 | 18:35 | 15 |
| სარაგოსა | 19 | 2 | 8 | 9 | 19:34 | 14 |
| ესტრემადურა | 19 | 1 | 6 | 12 | 11:35 | 9 |

# სასამართლოს დარბაზიდან

სამშაბათს ინგლისში, ვინჩესტერის სასამართლოს გარინდულ და მოწესრიგებულ დარბაზში, რომლის თაროებზეც საქმესთან დაკავშირებული ასი ტომი აწყვია, წარმოშობით ზიმბაბველმა მოსამართლემ საიმონ ტაკიმ დაიწყო ინგლისური ფეხბურთის ბოლო ოცდაცამეტი წლის უდიდესი სკანდალის განხილვა. ბრალმდებელია დევიდ კელვერ სმიტი, ბრალდებულები: სამი ფეხბურთელი — 39 წლის ბრიუს გრობელაარი, 34 წლის ჰანს სეგერსი, 33 წლის ჯონ ფაშანუ და 31 წლის მალაიზიელი ბიზნესმენი ჰენგ სუენ ლიმი.

ზიმბაბვეს ნაკრების მეკარე ბრიუს გრობელაარი ადრე „ლივერპულსა“ და „საუთჰემპტონში“ თამაშობდა, დღეს კი მეორე დივიზიონის „პლიმუთშია“, ჰოლანდიელი სეგერსიც გოლკიპერი იყო, „უიმბლდონის“ კარს იცავდა, ფაშანუ კი „ასტონ ვილას“ მოთამაშე გახლდათ.

დანაშაული, რომელსაც ოთხივე ბრალდებული უარყოფს: მალაიზიაში მოქმედი, სანიძლაო სინდიკატისგან იღებდნენ ფულს, 1991-1994 წლებში პრემიერლიგის მატჩის ჩასაწყობად. ლიმი და ფაშანუ შუამავლები იყვნენ, გრობელაარი და სეგერსი შემსრულებლები.

ინგლისის პოლიციამ საქმის ძიება მას მერე დაიწყო, რაც 1994 წლის 8 ნოემბერს გაზეთ „სანში“ გამოქვეყნდა სტატია „ნიუკასლ“ — „ლივერპულის“ შედეგის ჩაწყობის შესახებ. „სანის“ კორესპონდენტები დანაშაულის კვალზე დააყენა გრობელაარის თანამემამულემ და ყოფილმა ბიზნეს-პარტნიორმა კრის ვინსენტმა. მოხერხდა მეკარისთვის ფულის გადაცემის მომენტის ვიდეოფირზე გადაღებაც. ვინსენტი დღეისთვის ბრალდების უმთავრესი მოწმეა, თუმცა თავადაც ცუდად აქვს საქმე, რადგან ყოფილი მეგობრისთვის შეუთვლია, ფულს თუ გადამიხდი ჩვენებებს უკან წავიღებო. ოთხეულის სასამართლოს შემდეგ მისი საქმის განხილვაც მოეწყობა.

— ძალიან მშვიდად ვარ. ყველაფერი გაირკვევა. ბოლოს ხალხი მიხვდება, სინამდვილეში რა მოხდა — განუცხადა ჟურნალისტებს გრობელაარმა.

ასეთი სკანდალი 1964 წლის მერე არ ახსოვს ბრიტანულ ფეხბურთს. მაშინ პიტერ სვონი, დევიდ ლეინი და ტონი კეი ოთხი თვით ციხეში ჩასვეს, ფეხბურთიდან კი სამუდამოდ მოკვეთეს.

ბრალმდებლის თქმით, 1993 წლის 21 ნოემბერს, „ლივერპულის“ „ნიუკასლთან“ 0:3 მარცხის შემდეგ, გრობელაარმა შხაპი მიიღო თუ არა, დაურეკა ლიმს. მეორე დღეს იგი და ვინსენტი ლონდონს გაფრინდნენ, აეროპორტში იქირავეს მანქანა და ფაშანუს ოფისს მიაშურეს. აქედან მეგობრები ჩრდილოეთ ლონდონში, ფაშანუს მეგობრის ბინაში გააგზავნეს, სადაც ზიმბაბველ გოლკიპერს 40 000 გირვანქა ჩაუთვალეს. ამ თანხიდან გრობელაარმა 20 000 ვინსენტს გადასცა თავიანთი „მონდორო უაილდლაიფ კორპორეიშნ შ.პ.ს.“-სთვის, 5 000 კი საკუთარ ანგარიშზე შეიტანა. სატელეფონო კომპანიას დაფიქსირებული აქვს იმ დღეებში ვინსენტის მობაილით ლიმის და ფაშანუს ნომრებთან საუბარიც. თავად ვინსენტი აცხადებს, ჩემი ტელეფონით გრობელაარი სარგებლობდაო.

ეფექტისთვის ბრალმდებელმა, ცხადია, ენამზეობას მიმართა. კერძოდ, იგი მოჰყვა, თუ როგორ შეატყობინა გახარებულმა გოლკიპერმა კრისს, „ნიუკასლთან“ მატჩი კარგი ანგარიშით დამთავრდაო, კარგ ანგარიშში კი 0:3 წაგებას გულისხმობდა. დამაჯერებლობისთვის პროკურორმა დასვა კითხვა: განა შეიძლება ერთმა ფეხბურთელმა მატჩის კონკრეტული ანგარიში განსაზღვროს? და მას თვითონ უპასუხა: „ცხადია არა. არ შეუძლია და შესაძლებლობა არც მიეცემა, რადგან თანაგუნდელები შეუშლიან ხელს, მაგრამ ერთი მოთამაშის ნამოქმედარის ფასი ყველასთვის ზუსტადაა ცნობილი. ცნობილია, თუ რა შეუძლია ფეხბურთელს 50 ათასი გულშემატკივრისა და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ. ბუნებრივია, იგი ისე ვერ გათავხედდება, რომ ბურთი ფეხებს შორის გაატაროს, მაგრამ მეკარეებს ხომ მოსდით შეცდომები, დამატებით ვითომ შეცდომას კი განზრახ დაშვებულად არავინ ჩაუთვლის. თუ თქვენ ნიძლავებ[illegible] მოყვარული ბრძანდებით და გინდ[illegible] ანგარიში იმაზე ერთით მეტი ან ნაკლები იყოს, ვიდრე არის, საამისოდ მეკარის მოსყიდვა ნებისმიერი სხვა ამპლუის მოთამაშის მოსყიდვაზე მეტად გამოგადგებათ. მეკარე ის პიროვნებაა, ვისაც შედეგზე გავლენის მოხდენა ძალუძს.“

დევიდ კალვერტ სმიტი ამ სიტყვების წარმოთქმისას მხოლოდ ბრიუს გრობელაარს არ გულისხმობდა. მას მხედველობაში ჰყავდა „უიმბლდონის“ ჰოლანდიელი გოლკიპერი ჰანს სეგერსიც, რომელიც ბრალდებულთა სკამზე ზიმბაბველის გვერდით ზის. პროკურორის თქმით ერთი ამერიკული ბანკის შვეიცარულ ფილიალში 1993-94 წლებში ჰოლანდიელის ანგარიშზე დიდძალი ფული დაიდო. აშკარაა, რომ ეს თანხა სეგერსის ოფიციალური შემოსავალს მრავალჯერ აღემატება. თავად მეკარეს, სხვა გზა აღარ ჰქონდა, ეს ასე ახსნა — ჩემს ყმაწვილკაცობაში, 70-იანი წლების ბოლოს დანაშაულებს ჩავდიოდი და ეს ის ფულია, მალაიზიურ სინდიკატთან კი კავშირი არ მაქვსო. ბრალმდებელმა 70-იან წლებში ჩადენილი დანაშაულებით ნაშოვნი ფულის 90-იან წლებში ბანკში შეტანა უკიდურეს უაზრობად მიიჩნია.

სასამართლო გრძელდება.

**ზიზა ძოზახიძე**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIII ტური

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| არსენალი — ევერტონი | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჩელსი — დერბი ქაუნთი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,1 |
| ქოვენთრი — მანჩესტერ იუნაიტედი | 4,0 | 2,9 | 1,7 |
| ლესტერი — უიმბლდონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| ლივერპული — ასტონ ვილა | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| მიდლსბრო — შეფილდ უენსდეი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ნოტინგემი — ტოტენჰემი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| საუთჰემპტონი — ნიუკასლი | 3,2 | 2,8 | 1,9 |
| სანდერლენდი — ბლექბერნი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| ვესტ ჰემი — ლიდსი | 2,0 | 2,8 | 3,0 |

### ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXIX ტური

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარნსლი — იფსვიჩ თაუნი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ბირმინგემი — რედინგი | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბოლტონი — ვულვერჰემპტონი | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| ჩარლტონი — სტოკ სიტი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| კრისტალ პალასი — პორტსმუთი | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ჰადერსფილდი — მანჩესტერ სიტი | 1,7 | 3,0 | 3,8 |
| ნორვიჩი — გრიმსბი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ოქსფორდი — ტრანმერი | 1,9 | 2,8 | 3,2 |
| პორტ ვეილი — ქუინზ პარკი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| შეფილდ იუნაიტედი — საუთენდი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| სვინდონი — ბრედფორდი | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ვესტ ბრომვიჩი — ოლდემი | 1,5 | 3,1 | 5,0 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი. XXIV ტური

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| სელტიკი — ჰიბერნიანი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,4 | 2,2 |
| ჰართსი — დანდი იუნაიტედი | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| კილმარნოკი — დანფერმლაინი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| მოზერველი — რეინჯერსი | 6,0 | 3,2 | 1,4 |
| 1:0 | 2,2 | 3,4 | 1,8 |
| რეით როვერსი — აბერდინი | 2,9 | 2,9 | 2,0 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XVII ტური

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატალანტა — რეჯანა | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| კალიარი — მილანი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| ფიორენტინა — სამპდორია | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ინტერი — ბოლონია | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ლაციო — იუვენტუსი | 2,5 | 2,5 | 2,4 |
| პარმა — ვერონა | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| პერუჯა — პიაჩენცა | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| უდინეზე — რომა | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ვიჩენცა — ნაპოლი | 1,6 | 2,9 | 4,7 |

### იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XVIII ტური

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| კოზენცა — პადოვა | 3,0 | 2,8 | 2,0 |

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბარი — ფოჯა | 1,4 | 3,1 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბრეშია — რეჯინა | 1,15 | 4,4 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ჩეზენა — ემპოლი | 2,1 | 2,8 | 2,8 |
| კოევო — პალერმო | 1,7 | 2,8 | 4,2 |
| კრემონეზე — ლუკეზე | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| ჯენოა — რავენა | 1,7 | 2,9 | 4,0 |
| პესკარა — დი სანგრო | 1,15 | 4,0 | 10,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| სალერნიტანა — ვენეცია | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ტორინო — ლეჩე | 1,8 | 2,9 | 3,4 |

### ესპანეთის ჩემპიონატი. XX ტური

18-20 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ატლეტიკო — რეალი | 2,7 | 2,7 | 2,2 |
| სელტა — ესტრემადურა | 1,35 | 3,2 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| დეპორტივო — ბილბაო | 1,5 | 3,0 | 5,3 |
| ერკულესი — ვალიადოლიდი | 2,2 | 2,7 | 2,7 |
| ბეტისი — ბარსელონა | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| რაიო ვალეკანო — სპორტინგი | 1,6 | 3,0 | 4,4 |
| ოვიედო — ვალენსია | 2,3 | 2,5 | 2,7 |
| ესპანიოლი — სევილია | 1,8 | 3,0 | 3,3 |
| რასინგი — ლოგრონიესი | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| სოსიედადი — კომპოსტელა | 1,25 | 3,8 | 8,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| სარაგოსა — ტენერიფე | 2,1 | 2,7 | 2,9 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### პორტუგალიის ჩემპიონატი. XVI ტური

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| გიმარაეში — ბენფიკა | 5,0 | 3,1 | 1,5 |
| პორტუ - ბრაგა | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ლეცა — ჟილ ვისენტე | 1,3 | 3,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| მარიტიმუ — სეტუბალი | 2,0 | 2,8 | 3,0 |
| ფარენსე — შავეში | 1,6 | 2,8 | 5,0 |
| ესპინიუ — სალგეირუში | 1,4 | 3,0 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ბელენენსეში — სპორტინგი | 6,0 | 4,0 | 1,3 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ბოავიშტა — ამადორა | 1,5 | 2,8 | 6,0 |
| რიუ ავე — ლეირია | 2,4 | 2,5 | 2,5 |

### თურქეთის ჩემპიონატი. XVIII ტური

17 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| გალათასარაი — ვანსპორი | 1,05 | 6,0 | 14,0 |
| 0:1 | 1,3 | 3,4 | 4,0 |

18 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| ალთაი — ტრაბზონსპორი | 6,0 | 3,4 | 1,35 |
| 1:0 | 2,7 | 3,4 | 1,6 |
| სამსუნსპორი — ფენერბაჰჩე | 6,0 | 3,4 | 1,35 |
| 1:0 | 2,4 | 3,4 | 1,7 |
| ბეშიქთაში — ბურსასპორი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,4 | 2,7 |

### ბელგიის ჩემპიონატი. XIX ტური

19 იანვარი

| | | | |
|---|---|---|---|
| სტანდარდი — გენკი | 1,2 | 4,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,4 | 2,4 |
| ლოკერენი — მუსკრონი | 2,9 | 2,9 | 2,0 |
| ლომელი — ანდერლეხტი | 3,8 | 3,0 | 1,7 |
| მეხელენი — ანტვერპენი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| შარლერუა — გენტი | 2,3 | 2,6 | 2,6 |
| მოლენბეკი — სენტ ტრიუდენი | 1,35 | 3,4 | 6,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| აალსტი — სერკლ ბრიუგე | 1,3 | 3,8 | 6,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |
| ეკერენი — ჰარელბეკი | 2,5 | 2,4 | 2,5 |
| ბრიუგე — ლიერსი | 1,3 | 3,6 | 7,0 |
| 0:1 | 2,0 | 3,4 | 2,0 |

**ტურში გატანილი გოლების რაოდენობა**

იტალია. 22 და ნაკლები — 1,9; 24 და მეტი — 1,9

ესპანეთი. 27 და ნაკლები — 1,9; 29 და მეტი — 1,9

ინგლისი. 25 და ნაკლები — 1,9; 27 და მეტი — 1,9

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

## CROCO-2

### ტირაჟი №12

1. კალიარი — მილანი
2. ფიორენტინა — სამპდორია
3. ლაციო — იუვენტუსი
4. პარმა — ვერონა
5. პერუჯა — პიაჩენცა
6. უდინეზე — რომა
7. ატლეტიკო — რეალი
8. ბეტისი — ბარსელონა

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის. თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

ჭადრაკი / ქალოსნობა

# ასანიძე და კობზევი შეიწყალეს

დეკემბერში ათენში ჩატარდა ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის ყრილობა, სადაც არჩევნებთან ერთად ცდომილ სპორტსმენთა რეაბილიტაციის საკითხიც განიხილეს.

ორ ქართველ სპორტსმენს, გიორგი ასანიძესა და იგორ კობზევს, ანაბოლური პრეპარატების მიღებაში მხილებულთ და სამუდამო დისკვალიფიკაციამისჯილთ, სასჯელის ვადა ორ წლამდე შეუმცირეს. გიორგის ვადა 1997 წლის 13 ივლისს უმთავრდება.

„იმედი მქონდა, რომ სასჯელს მომიხსნიდნენ, ამიტომ წელიწადნახევრიანი შესვენების შემდეგ ვარჯიში დავიწყე და უკვე რამდენიმე თვეა, ინტენსიურად ვვარჯიშობ" — მითხრა გიორგი ასანიძემ. — „ასპარეზობის უფლება რომც მქონდეს, ევროპის ჩემპიონატზე, აპრილში, მაინც არ გამოვიდოდი. მინდა, ახალი ეტაპი კარგი შედეგით დავიწყო, ამისთვის კი დროა საჭირო, ფორმაში უნდა ჩავდგე. დეკემბერში მსოფლიო პირველობა გაიმართება და მას სრულ მზადყოფნაში შევხვდები. რეაბილიტაციის შემდეგ ალბათ გერმანულ კლუბთან განვაახლებ კონტრაქტს, რომელიც ჩემი დისკვალიფიკაციის შემდეგ გაწყდა."

**ერეკლე კიკილაშვილი**

ჭიდაობა

# პირველი ჩემპიონატი ახალი წონებით

შარშან, წლის მიწურულს, ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ (ფილა) თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის წონითი კატეგორიები ახლებურად გამიჯნა, 2 წონა საერთოდ გააუქმა და ათის ნაცვლად რვა დატოვა. როგორც ყველაფერს ახალს, ამ გადაწყვეტილებასაც ჰყავდა მომხრე-მოწინააღმდეგენი, მაგრამ ფილამ თავისი გაიტანა — აქაოდა, წონების შეცვლა-შემცირება უფრო დახვეწს და სრულყოფს ჭიდაობასო. ეროვნულ ფედერაციებს რაღა დარჩენოდათ, დაყაბულდნენ კანონმდებელთა გადაწყვეტილებას და კარსმომდგარი საშინაო თუ საერთაშორისო ტურნირებისთვის მზადება ახლებური წესებით დაიწყეს. ქართველთაგან ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავენი პირველები მოსინჯავენ ახლებური წესების ავკარგიანობას და 17 და 18 იანვარს ფალავანთა კლუბის დარბაზში საქართველოს ჩემპიონატს გამართავენ. თბილისში თავს მოიყრიან საქართველოს უძლიერესი ფალავნები. თითქმის ყველა ტიტულოვანი მოჭიდავე იასპარეზებს ეროვნულ ჩემპიონატში, კვალიფიციურ მსაჯთა კოჰორტას მთავარი მსაჯი — მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ყაზარაშვილი უთავკაცებს. მოკლედ, ხვალ და ზეგ ფალავანთა კლუბში მისული ჭიდაობის ქომაგები გულნაკლულნი ნამდვილად არ დარჩებიან.

ასპარეზობები პარასკევსაც და შაბათსაც 11 საათზე დაიწყება.

**ლევან ლეონიძე**

ჩოგბურთი

# ქართველ ჩოგბურთელთა ათეულები

საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციამ ახალი სეზონის წინ გამოაქვეყნა საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულები, რომლებშიც შევიდნენ:

**ვაჟები**

1. ვლადიმერ მარგალიტაძე (1976)
2. ვლადიმერ გაბრიჩიძე (1968)
3. ირაკლი კუნჭულია (1978)
4. დავით კაჭარავა (1969)
5. გივი სამხარაძე (1979)
6. ზურაბ ზედანია (1978)
7. ირაკლი ლაბაძე (1981)
8-9. იოსებ სიამაშვილი (1976)
გრიგოლ კიკალეიშვილი (1976)
10. პავლე მიდელაშვილი (1979)

**ქალები**

1. ლეილა მესხი (დაბ. 1968 წ.)
2. ნინო ლუარსაბიშვილი (1977)
3. სოფიკო მანაგაძე (1978)
4. მარგალიტა ჩახნაშვილი (1982)
5. ნატო კაჭკაჭიშვილი (1981)
6. ვიქტორია ავილოვა (1978)
7. ეკა ჟვანია (1981)
8. ია ბახტაძე (1979)
9. ნატო დოლიძე (1983)
10-13. ნინო ესებუა (1984)
თამარ ზედგენიძე (1983)
თამარ ცხვირაშვილი (1979)
ნინო ჭიჭინაძე (1982)

საქართველოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ათეულებს სათავეში ლეილა მესხი და ვლადიმერ მარგალიტაძე უდგანან. მესხს შარშანდელი სეზონი პირმშოს შეძენის გამო თითქმის მთლიანად გაუცდა, თუმცა მისი საერთაშორისო ავტორიტეტი საკმაოდ მაღალია. ნინო ლუარსაბიშვილმა და სოფიკო მანაგაძემ ჩინებულად ითამაშეს ფედერაციის თასზე, რითაც საქართველოს ქალთა ნაკრებს მეორე ლიგაში ადგილი შეუნარჩუნეს. განსაკუთრებულად წარმატებული შარშანდელი სეზონი მაკა ჩახნაშვილისთვის იყო, რომელმაც საქართველოში თითქმის ყველა ტურნირი მოიგო და საერთაშორისო ასპარეზზეც თავის ასაკში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამათგან უპირველესი მის მიერ აღმოსავლეთ ევროპის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება იყო.

ვაჟებში პირველმა ვლადიმერ მარგალიტაძემ შესანიშნავად მოიგო საქართველოს ჩემპიონატი. ვლადიმერ გაბრიჩიძემ კი გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს ნაკრების დევისის თასის მესამე ჯგუფიდან მეორეში გადაყვანაში. სტაბილურად ჩაატარა სეზონი ირაკლი კუნჭულიამაც.

ველოსპორტი

# სომხების იმედზე ვიყოთ?

ახალ წელს გლოვით შეხვდა ველოსპორტის ფედერაცია — წლის მიწურულს ახალარჩეული პრეზიდენტი შალვა სალარეიშვილი გარდაიცვალა. მაგრამ ცხოვრება გრძელდება, ფედერაციას უამრავი საქმე აქვს საკეთებელი და პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ველოსპორტის ფედერაციას უთავკაცებს სოსო გოცირიძე, რომელიც მანამდე ვიცე-პრეზიდენტი იყო.

დღესდღეობით საქართველოს ველოსპორტსმენთა ნაკრები გუნდი არ ჰყავს, მთელი იმედები ახალგაზრდულ გუნდზეა. შობა-ახალწლის შემდეგ ვარჯიშიც განახლდა, თბილისური თბილი ზამთარიც ხომ მისწრებაა მათთვის და ყოველდღიურად, ჯერჯერობით, 80-90 კილომეტრს გადიან თბილისის შემოგარენში. ჩვენს ახალგაზრდებს პირველი მნიშვნელოვანი შეჯიბრება ზაფხულში ელით. პორტუგალიაში ევროპის ახალგაზრდული თამაშები ჩატარდება და იქ საგზატკეცილო რბოლაში ჩვენებურებიც იასპარეზებენ. სოსო გოცირიძის ვარაუდით, იქ ალბათ, 4 ქართველი გაემგზავრება. ივნისამდე კი დიდი დროა და, შესაძლოა, მანამდე ახალგაზრდული ნაკრები სომხეთს ესტუმროს, რადგან შარშან სომხეთის ნაკრები სტუმრობდა ჩვენსას. სხვა სპარინგ-პარტნიორის მოძებნა უსახსრობის გამო არ ხერხდება, არადა, რუსებმა თავიანთ ღია ჩემპიონატზე მიიწვიეს ჩვენები, მაგრამ ფედერაციას ფული არა აქვს სპორტსმენთა გასამგზავრებლად. სპორტის დეპარტამენტმა ბიუჯეტიდან კი გამოუყო თანხა ველოსპორტის ფედერაციას, მაგრამ, ჯერჯერობით, ფედერაციის საბანკო ანგარიშზე ჯერ კაპიკი არა აქვს. სხვა პრობლემებთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ბიჭები მოძველებული ველოსიპედებით ვარჯიშობენ, თუმცა დეპარტამენტი შეპირებულია, — 6 ახალ ველოსიპედს გიყიდითო. მოკლედ, ველოსპორტსმენები პორტუგალიაში გამგზავრების იმედით ცოცხლობენ.

**ლევან ლეონიძე**

კალათბურთი

**NBA. რეგულარული ჩემპიონატი**

13 იანვარი

ატლანტა ჰოქსი — კლივლენდ კავალიერზი 93:73, მაიამი ჰითი — ვაშინგტონ ბულიტსი 98:95, ორლანდო მეჯიქი — ნიუ ჯერსი ნეტსი 114:111, იუტა ჯაზი — ფილადელფია-76 97:96, ფინიქს სანზი — დალას მავერიქსი 105:98, შარლოტ ჰორნეთსი — დენვერ ნაგითსი 102:100

14 იანვარი

ბოსტონ სელტიქსი — გოლდენ სტეიტ ვორიორზი 116:108, ატლანტა ჰოქსი — მინესოტა ტიმბერვულვზი 95:93, ჰიუსტონ როკიტსი — ნიუ იორკ ნიქსი 106:86, ჩიკაგო ბულზი — ვაშინგტონ ბულიტსი 108:107, ფინიქს სანზი — დენვერ ნაგითსი 110:101, პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი — დეტროიტ პისტონზი 95:86, ლოს ანჯელეს ლეიკერზი — ვანკუვერ გრიზლიზი 91:81, საკრამენტო კინგზი — ინდიანა პეისერზი 105:98

**აღმოსავლეთის კონფერენცია**

ატლანტიკის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ იორკი | 26 | 10 | 72,2 |
| მაიამი | 26 | 10 | 72,2 |
| ვაშინგტონი | 19 | 17 | 52,8 |
| ორლანდო | 14 | 18 | 43,8 |
| ნიუ ჯერსი | 9 | 24 | 27,3 |
| ბოსტონი | 9 | 25 | 26,5 |
| ფილადელფია | 8 | 27 | 22,9 |

ცენტრალური დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო | 32 | 4 | 88,9 |
| დეტროიტი | 26 | 9 | 74,3 |
| ატლანტა | 23 | 11 | 67,6 |
| კლივლენდი | 21 | 14 | 60,0 |
| შარლოტი | 20 | 16 | 55,6 |
| მილუოკი | 18 | 17 | 51,4 |
| ინდიანა | 16 | 18 | 47,1 |
| ტორონტო | 12 | 23 | 34,3 |

**დასავლეთის კონფერენცია**

შუა-დასავლეთის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჰიუსტონი | 28 | 9 | 75,7 |
| იუტა | 24 | 12 | 66,7 |
| მინესოტა | 16 | 20 | 44,4 |
| დალასი | 12 | 21 | 36,4 |
| სან ანტონიო | 9 | 25 | 26,5 |
| დენვერი | 9 | 28 | 24,3 |
| ვანკუვერი | 7 | 30 | 18,9 |

წყნარი ოკეანის დივიზიონი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლეიკერზი | 28 | 10 | 73,7 |
| სიეტლი | 26 | 11 | 70,3 |
| პორტლენდი | 20 | 16 | 55,6 |
| საკრამენტო | 16 | 22 | 42,1 |
| კლიპერზი | 14 | 21 | 40,0 |
| გოლდენ სტეიტი | 13 | 22 | 37,1 |
| ფინიქსი | 13 | 24 | 35,1 |

# „დიდი ძაღლის" კვირა

ნბა-ს მორიგი კვირის (6-12 იანვარი) საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს „მილუოკი ბაქსის" ფორვარდი გლენ რობინსონი, იგივე „დიდი ძაღლი". ამ კვირაში იგი საშუალოდ 25,3 ქულას, 6,8 მოხსნას და 3,5 პასს აკეთებდა. 69 ნასროლი ბურთიდან 41 ჩააგდო (59,4 პროცენტი). „გლენი დიდ კალათბურთს თამაშობს. წელს იგი ისეთ რამეებს აკეთებს, რასაც უწინ ვერ ახერხებდა: იძლევა პასებს და დაცვაში მუშაობს" — თქვა „ბაქსის" მწვრთნელმა კრის ფორდმა.

რობინსონის საუკეთესო მატჩი 8 იანვარს შედგა, როცა „მილუოკიმ" 119:112 სძლია „იუტა". „დიდმა ძაღლმა" მაშინ 38 ქულა, 7 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა გააკეთა.

კვირის საუკეთესო მოთამაშეობის სხვა კანდიდატები იყვნენ: კრისტიან ლეიტნერი (ატლანტა), ენტონი მეისონი (შარლოტი), გრანტ ჰილი (დეტროიტი), ლატრელ სპრიუელი (გოლდენ სტეიტი), შაკილ ონილი (ლეიკერზი), ტომ გულიოტა (მინესოტა), პატრიკ იუინგი (ნიუ-იორკი), რონი საიკლი (ორლანდო), დეტლეფ შრემპფი (სიეტლი), დეიმონ სტუდემაიერი (ტორონტო) და შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი).

# ახალბედათა ოლ-სტარს ითამაშებენ...

დადგინდა 1997 წლის ახალბედათა ოლ-სტარის მონაწილეთა ვინაობა. ეს მატჩი 8 თებერვალს გაიმართება კლივლენდის „განდ არენაში", ნამდვილი ოლ-სტარის წინა დღეს. აღმოსავლეთის და დასავლეთის გუნდები ორ 15 წუთიან ტაიმს ითამაშებენ.

აღმოსავლეთი

უკანა ხაზი: რეი ალენი (მილუოკი), ალენ აივერსონი (ფილადელფია), კერი ქითლზი (ნიუ ჯერსი)

ფორვარდები: მარკუს კემბი (ტორონტო), ანტუან უოქერი (ბოსტონი), ჯონ უოლესი (ნიუ იორკი)

ცენტრები: ერიკ დამპიე (ინდიანა), ვიტალი პოტაპენკო (კლივლენდი)

მწვრთნელი: რედ აუერბახი; თანაშემწე: ბილ ჰანზლიკი (ატლანტა)

დასავლეთი

უკანა ხაზი: მეტ მელონი (ჰიუსტონი), სტეფონ მარბერი (მინესოტა), სტივ ნეში (ფინიქსი)

ფორვარდები: შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი), ქოუბ ბრაიანტი (ლეიკერზი), სამაკი უოქერი (დალასი)

ცენტრები: ტრევის ნაითი (ლეიკერზი), როი როჯერსი (ვანკუვერი)

მწვრთნელი: რედ ჰოლცმანი; თანაშემწე: ლარი დრიუ (ლეიკერზი)

**ევროპის თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

**პირველი მატჩები. 14 იანვარი**

ვოლტექსი (სლოვენია) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) 67:69, ანტიბი (საფრანგეთი) — ასკ (ლატვია) 75:75, ნობილესი (პოლონეთი) — ზაგრები (ხორვატია) 84:79, ჰოლზელა (სლოვენია) — ქალგირისი (ლიტვა) 71:76, მზტ (მაკედონია) — პორტუ (პორტუგალია) 73:69, სტავექსი (ჩეხეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი) 86:78, სუნაირი (ბელგია) — შლიონსკი (პოლონეთი) 66:62, გენტი (ბელგია) — ბუდიველნიკი (უკრაინა) 65:70, ზადარი (ხორვატია) — აპოლონი (საბერძნეთი) 56:75, ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — ავტოდორი (რუსეთი) 70:75, ტორპან პოიატი (ფინეთი) — ფთთ (თურქეთი) 82:84, ბეოცინი (იუგოსლავია) — რიელო (იტალია) 73:74

ჰაგენი (გერმანია) — რეალი (ესპანეთი), ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) — ულმი (გერმანია), ბენფიკა (პორტუგალია) — პსჟ (საფრანგეთი), კიორმენდი (უნგრეთი) — ტდკ (ესპანეთი) — წუხელ გაიმართა

საპასუხო მატჩები — 21 და 22 იანვარს.

ჭადრაკი

# ქართველთა წარმატებები ევროპაში

ქართველი მოჭადრაკე ქალები ამ შობა-ახალწლებზე ორ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ და წარმატებასაც მიაღწიეს. ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში, ტრადიციულ საშობაო ტურნირზე ვაჟები და ქალები ერთად ასპარეზობდნენ, გამარჯვებულნი კი ცალ-ცალკე ვლინდებოდნენ. პირველი-მესამე ადგილები გაიყვეს ქეთინო კახიანმა, რომელიც გერმანიის სახელით ასპარეზობს, ნინო ხურციძემ და სომეხმა მოჭადრაკემ დანელიანმა. ოც წლამდე მოჭადრაკეთა შორის ევროპის ჩემპიონმა მაია ლომინეიშვილმა მეოთხე-მეხუთე ადგილები გაიყო.

სამაგიეროდ, მაიამ შესანიშნავად ითამაშა გერმანიის ქალაქ შვებიშგმუნდში გამართულ ტურნირზე, რომელიც გრონინგენის ტურნირის მსგავსი სისტემით გაიმართა. მაიამ 9-დან 6,5 ქულა მოაგროვა და ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ჰოკეი

**NHL. რეგულარული ჩემპიონატი**

## ლალიმი ყველაზე ძლიერია

13 იანვარი. ბოსტონი — ოტავა 3:4, მონრეალი — ბაფალო 1:2, რეინჯერზი — აილენდერზი 2:4, ვაშინგტონი — ტორონტო 6:3, ჩიკაგო — ტამპა 0:2, სან ხოსე — ფინიქსი 5:4

14 იანვარი. პიტსბურგი — დალასი 3:1, ნიუ ჯერზი — ბოსტონი 4:2, ფილადელფია — მონრეალი 3:2, დეტროიტი — ლოს ანჯელესი 3:3, ვანკუვერი — ფლორიდა 4:4

ორ-ორი შეხვედრა გამართეს მონრეალმა, დალასმა და ბოსტონმა. მონრეალსა და დალასს ერთმანეთთან მოუხდათ პაექრობა. მატჩის ბედი მეორე პერიოდმა გადაწყვიტა: ჯერ მონრეალელმა სტივენსონმა გაქვითა, სეზონის ერთ-ერთმა საუკეთესო ახალბედამ — დალასელმა ლანგებრიუნერმა (სულ-11) კი უმრავლესობაში გადამწყვეტი შაიბა შეაგდო.

მეორე დღეს ეს წყვილი ლიდერებს შეერკინა. მონრეალი ფილადელფიაში ბოლო წუთამდე ინარჩუნებდა ფრეს, მაგრამ გამოჯანმრთელებულმა კოფიმ მაინც აიღო სტუმართა კარი. თუმცა, გამარჯვებას ფილადელფია უფრო იმსახურებდა, რაკი კარში ორჯერ მეტად (35 18-ის წინააღმდეგ) დაარტყა. ფილადელფიელმა ლეკლერმა 27-ე შაიბა შეაგდო და ვაშინგტონელ ბონდრასა და ტორონტოელ სუნდინთან ერთად სნაიპერთა შორის მეხუთეა.

პირველობას არ თმობენ პიტსბურგელები ლემიე და იაგრი. ამ დუეტმა ფრენსიზის დახმარებით ლომის წილი დაიდო მორიგ გამარჯვებაში. იაგრმა 40 შაიბიან ზღვარს მიაღწია, პარტნიორებმა კი სამი პასი მიითვალეს. ლემიე 76 (29+47) ქულით ლიდერობს, მის მდევარს — იაგრს 70 (40+30) ქულა აქვს.

საოცარია პინგვინელთა მეკარის — ლალიმის მიღწევა. 14 წაუგებელი თამაში დებიუტანტთა შორის საუკეთესოა, ხოლო ნჰლ-ის ისტორიაში — მესამე (!) შედეგია. ლალიმი ლიგაში ყველაზე „ნაკლებად გამშვები" მეკარეა — 2,0 გაშვებული შაიბა საშუალოდ. იგი უსწრებს გამოცდილ ვანბისბრუკს (2,09), ოსგუდს (2,13) და სხვა ძლიერ გოლკიპერებს.

ბოსტონმა ორივე თამაში წააგო. თუ თავის პრინციპულ კონკურენტ ოტავასთან ბოლომდე იბრძოლა (გადამწყვეტი შაიბა დეიგლმა შეაგდო, კიდევ ორი ახალბედა — ყოლტოვმა (5) და იორკმა გაიტანეს), ნიუ ჯერზიში მასპინძლებმა შანსი არ დაუტოვეს „დათვებს".

ჩინებულ ფორმაშია ფინიქსელი ტკაჩუკი, ბოლო 11 მატჩში მან 12 შაიბა გაახურხა და 29 გოლით ლემიეს ედავება მეორე ადგილს. სან ხოსეში ტკაჩუკმა ორჯერ გამოიჩინა თავი, მაგრამ პარტნიორებმა მხარი ვერ აუბეს და თამაშის ბოლო წუთზე სან ხოსელი გრენატოს და ნიკოლზის კომბინაციის შემდეგ ორი ქულა დაკარგეს.

როგორც ჩანს, ტამპამ თავი დააღწია კრიზისს. მას 23 დეკემბრის მერე (6 მოგება, 3 ფრე) არ წაუგია და სტენლის თასზე გასვლის შანსიც გაუჩნდა. ჩიკაგოში კლუბს „ბებრებმა" — კალენმა (12) და ზამუნერმა გაამარჯვებინეს, მათმა თანაკლუბელმა ტაბარაჩიმ კი სეზონში პირველი მშრალი მატჩი ჩაატარა.

დასასრულ, ერთი მიღწევა. ფილადელფიელ პოლ კოფის კარიერაში 1 049 პასი გაუხდა და ახლა ლეგენდარულ მარკ ჰოუსთან ერთად მეორე ადგილს იყოფს.

**სამველ ლარიბიანი**

ჩრდილო-აღმოსავლეთი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პიტსბურგი | 44 | 24 | 5 | 15 | 164:134 | 53 |
| ბუფალო | 44 | 22 | 5 | 17 | 190:120 | 49 |
| მონრეალი | 46 | 17 | 8 | 21 | 149:157 | 42 |
| ჰართფორდი | 43 | 17 | 7 | 19 | 128:141 | 41 |
| ბოსტონი | 44 | 16 | 6 | 22 | 129:161 | 38 |
| ოტავა | 42 | 13 | 8 | 21 | 114:127 | 34 |

ატლანტიკა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფილადელფია | 45 | 27 | 5 | 13 | 147:111 | 59 |
| ფლორიდა | 43 | 22 | 10 | 11 | 128:100 | 54 |
| რეინჯერზი | 48 | 23 | 6 | 19 | 161:132 | 52 |
| ნიუ ჯერზი | 43 | 22 | 5 | 16 | 113:110 | 49 |
| ვაშინგტონი | 44 | 19 | 5 | 20 | 120:116 | 43 |
| ტამპა | 43 | 17 | 6 | 20 | 126:135 | 40 |
| აილენდერზი | 43 | 13 | 9 | 21 | 112:129 | 35 |

ცენტრი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დალასი | 45 | 25 | 3 | 17 | 130:111 | 53 |
| დეტროიტი | 44 | 21 | 8 | 15 | 137:101 | 50 |
| ფინიქსი | 45 | 19 | 4 | 22 | 124:146 | 42 |
| სენტ ლუისი | 45 | 19 | 4 | 22 | 127:146 | 42 |
| ჩიკაგო | 47 | 17 | 8 | 22 | 121:127 | 42 |
| ტორონტო | 44 | 17 | 0 | 27 | 133:159 | 34 |

წყნარი ოკეანე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოლორადო | 44 | 26 | 8 | 10 | 150:101 | 60 |
| ედმონტონი | 45 | 20 | 4 | 21 | 145:136 | 44 |
| ვანკუვერი | 43 | 20 | 2 | 21 | 137:146 | 42 |
| ანაჰაიმი | 43 | 17 | 5 | 21 | 124:132 | 39 |
| სან ხოსე | 43 | 16 | 5 | 22 | 112:135 | 37 |
| კალგარი | 44 | 16 | 5 | 23 | 110:130 | 37 |
| ლოს ანჯელესი | 44 | 16 | 5 | 23 | 121:147 | 37 |

## რაგბი

# თამაში აშშ-მაც ისწავლა

ზედ ხუთი ერის პირველობის წინ უელსი მოვლო აშშ-ის ნაკრებმა, რომელსაც ჩეკ ქლარქი წვრთნის. ამერიკელები თავიდან ცოტა შეუთამაშებელი ჩანდნენ, რაკი სექტემბრის აქეთ საერთაშორისო ასპარეზზე არ ეასპარეზათ, მაგრამ მერე მასპინძლებს ტოლი არაფერში დაუდეს.

ევროპაში შობა-ახალ წელს საზარელი ყინვები რომ დაიჭირა, აშშ-ს 1 იანვარს „უელსის მომავალთან“ თამაში ჩაეშალა. 4 იანვარს სტუმრებმა წააგეს ქალაქ ნისის კლუბთან 15 (3) (2ლ, გ, ს) : 39 (27) (6ლ, 3გ, ს), მაგრამ 7 იანვარს დაამარცხეს „პონტიპრიზი“ 15 (8) (2ლ, გ, ს) : 13 (5) (2ლ, ს).

მხოლო ტესტი შაბათს, 11 იანვარს გაიმართა კარდიფის „არმზ პარკზე“. უელსის კაპიტანი და კვაჭი, კარდიფელი ჯონათან ჰამფრიზი ევროპის თასის ნახევარფინალში გაძევების გამო ერთი კვირით იყო დისკვალიფიცირებული. ამიტომ გუნდის ყოჩობა დაეკისრა შუამარბ სქოთ გიბსს, ლიგის რაგბიდან შარშან რომ დაბრუნდა.

პირველად ითამაშა ჯეელმა 8 ნომერმა სქოთ ქვინელმაც, რაგბის ძე ცდომილ ლიგას ამ სამი წლის წინ ფულის მეტისმეტი სიყვარულით რომ შეეკრა და რაგბში მობრუნებულიც ამავე მიზეზით ნაკრებში თამაშზე უარს იყო, აქაოდა ინგლისის კლუბებში მოთამაშე უელსელებს შინ დარჩენილებზე ერთი-ორად ნაკლები ჯამაგირი რატომ უნდა გვქონდესო. ბედად გამოჩნდა კერძო სპონსორი, ვინაც ქვინელს კომპენსაცია მისცა.

მასპინძლებს არ ყავდათ მთავარი დამრტყმელი ნილ ჯენქინსიც (46 ტესტში 498 ქულა), რომელიც ბოლო ორი ტესტი 15 ნომრად ათამაშეს. იგი შეცვალა ჯასთინ თომასმა. ლიგიდან გადმობირებულ 34 წლის ჯადოქარ ჯონათან დევისს 10 ნომრად ისევ ამჯობინეს ნორჩი არველ თომასი. XV-ეულში მესამე თომასიც ერია, სახელად გარესი (11).

უელსმა მაყურებლები გააკვირა უცხო კვართების ფერითა და ულიმლამო თამაშით. მასპინძლებმა აშშ-თან იქვე, 1987 წელს 46:0 გაიმარჯვეს, ამჯერად კი ოდენ 34 (17) (4ლ, 4გ, 2ს) : 14 (9) (ლ, 3ს) მოიგეს. ბებერმა მარჯვენა გარემარბმა იაიან ევანსმა ორი ლელო გაიტანა, გიბსმა — ერთი, მატჩის ბოლოს კი მასპინძლებს საჯარიმო ლელოც ერგოთ, რაკი აშშ-ის 8 ნომერმა ლამკონგმა შერკინებაში წესი დაარღვია.

სტუმართა ლელო 70-მეტრიანი შეტევის ძერე გავიდა, რომელიც 9 ხოშერმა ბეჩლითმა დააგვირგვინა. ამერიკელთა გოლები 10 ნომერმა ალეგზანდერმა შეაგდო, უელსელთა — მცველმა თომასმა.

სტუმართა ფლანკერმა ჯეი ვილკერსონმა ფეხი თავში ჩასცხო უელსის კვაჭ გარენ ჯენქინსს. მსაჯმა ეს ვერ შენიშნა, მაგრამ ამერიკელთა უფროსობამ თავად გაასამართლა ცდომილი და ოთხ-კვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

ხუთი ერის პირველობა ზეგ იწყება შოტლანდია — უელსისა და ირლანდია — საფრანგეთის მატჩებით.

## რალი

აფრიკული რალის მონაწილეები ალადესიდან ისევ დაკარისკენ გაემართნენ და ლიდერიც უმალ შეიცვალა.

IX ეტაპი (13. I; ალადესი — ოკლანი, ნიგერი; 315 კმ) ეპოქალური გამოდგა: რალის ისტორიაში პირველად გაიმარჯვა ქალმა — გერმანელმა იუტა კლაინშმიდტმა (ბაგი). მისმა ფრანგმა თანაგუნდელმა ჟანლუი შლესერმა, პირველ ნახევარში რომ გავარდა, დიდად შეაქო კოლეგა, ესაო და ურწმუნო თომებს თვალი დაუყენაო.

მოწინავე მიცუბიშელთა შინა-ომი გამწვავდა. ფრანგმა ჟან-პიერ ფონტანეიმ 17 წამით ჩამოიტოვა პირველი ნახევრის ლიდერი, იაპონელი კენძირო შინოზუკა. ფრანგი ბრიუნო საბი ფონტანეისთან 8.06-ს აგებდა. მოტოციკლების კატეგორაში ეტაპი მეორედ მოიგო ფრანგმა თიერი მანილდიმ (კტმ).

X ეტაპზე (14. I; ოკლანი — კიდალი, მალი; 537 კმ) მონაწილეთა შეშველება აკრძალული იყო. ჰოდა, მანიალდის ძრავი რომ გაუფუჭდა, შეჯიბრს თავი მიანება.

მოტოციკლისტთა შეჯიბრში ხორდი არკარონმა (ესპანეთი, კტმ) 17 წამი მოუგო ფრანგ სტეფან პეტრანსელს (იამაჰა), მაგრამ მასთან ჯამში მაინც აგებს თითქმის საათ-ნახევარს.

ავტოთა შეჯიბრში პირველად გაიმარჯვეს პორტუგალმა და „ნისანმა“. ეს დუარტე გედეშის დამსახურებაა, თუმცკი ამან არც ფრანგ ნავიგატორ ფრანსის დიუბუას დაუკარგა ამაგი. ფონტანეიმ ამ ეტაპზეც მესამე ადგილი დაიჭირა და გუშინდელი ეტაპის წინ მეტად — 6.05-ით უსწრებდა შინოზუკას, რაკი ამან ოდენ VI ადგილი დაიკავა. მოწინავე ათეულში ერთბაშად ექვსი „მიცუბიში“ იყო.

## ჩოგბურთი

# მძიმე ბურთების წუნობენ!





ბეკერი დაისიცხა, „სკად“ ფილიპუსისი კი დაწყებამდე გავარდა

როიტერი მელბურნიდან

ორშაბათს, მელბურნში, სენსაციით დაიწყო დიდი სლემის პირველი შეჯიბრი — ავსტრალიის ღია პირველობა. ვაჟთა შარშანდელმა ჩემპიონმა, გერმანელმა ბორის ბეკერმა (6) პირველსავე წრეში სამ-საათ-ნახევარში საშინელ ხვატში 7:5, 6:7 (4-7), 6:3, 1:6, 6:4 წააგო ესპანელ კარლოს მოიასთან და გავარდა. მსგავსი რამ მელბურნში წინა ჯერზე 1977 წლის დეკემბერში მოხდა, როცა როსკო ტანერი უმალ შეელია იმავე წლის იანვარში მოპოვებულ ტიტულს.

ბეკერი 29 წლისაა. სეზონი საუცხოოდ დაამთავრა, ორჯერ ძლია თვით ამერიკელი პიტ სამპრასი (1) და 4,3 მლნ ჰონორარით მას კიდეც აჯობა. ახლაც პიტის მთავარ მეტოქედ ითვლებოდა; ილბლიანი განთესვის წყალობით მასთან ფინალამდე არც უწევდა თამაში, მაგრამ განგებამ არ ინება.

ბებერი ბეკერი მე-13-ედ თამაშობდა ავსტრალიაში. 25-ე ჩოგანი, 20 წლის დალალებიანი მოია აშკარად უფრო შემართული ჩანდა, მით უფრო, რომ შარშან უკვე დაემარცხებინა გერმანელი — პარიზის ჭერქვეშა პირველობაზე და ტელევიზორში მისი ცქერითვე აღზრდილიყო.

ბეკერმა ეისებით 22-5 აჯობა მეტოქეს, ჰაერიდან შედეგიანი დარტყმებით 30-1, მაგრამ მოწოდებისას 17 ორმაგი შეცდომა მოუვიდა და უნებლიედაც 87-ჯერ შეცდა (მოია — მხოლოდ 36-ჯერ).

ბეკერმა მეტოქის გამარჯვება თუმც უსიტყვოდ ცნო, მაინც მაგრად შეუტია ჩოგბურთის მამებს. ბორისისა და სხვა გრანდების აზრით, დიდ-მოხელეებს თურმე თვალში არ მოსდით ძალისმიერი, სწრაფი ჩოგბურთი. ამის გამო კორტები გაუხისტებიათ, ბურთები კი დაურბილებ-დაუმძიმებიათ.

ბეკერი იმას ჩივის, რომ დამძიმებული ბურთის დარტყმისას ხელი მეტად იტვირთება. თავად თურმე გატანჯა მაჯის ტრავმებმა. სამპრასი, შტიხი და ენკვისტი იდაყვის ქრონიკულ ტკივილს უჩივიან, კიდევ სხვებს მხარი აწუხებთ, ავსტრალიელები — მარკ ფილიპუსისი და ჯეისონ სთოლთენბერგი კი მკლავის ტრავმის გამო არ ასპარეზობენ. არადა, „სკად“ ფილიპუსისი პირველ წრეში ბრიტანელთა ამომავალ ვარსკვლავ თიმ ჰენმანს უნდა შეხვედროდა.

პირველ დღეს საგულისხმო სხვა ცოტა რამ თუ იყო. შარშან რუსმა დებიუტანტმა ელენა ლიხოვცევამ თავიდანვე გააგდო მაშინდელი ჩემპიონი, ფრანგი მარი პირსი, წელს კი აწ უკვე განუთესელმა პირსმა რევანშს მიაღწია — 3:6, 6:2, 6:4 გაისტუმრა მე-13 ნომერი.

შტეფი გრაფმა (გერმანია, 1) თავადვე აღმოუჩინა პირველი სამედიცინო დახმარება სლოვაკ ჟანეტ ჰუსაროვას, რომელიც გასრიალდა, მუხლი იღრძო და დაიხმდა. რაკი მასაჟისტმა და ექიმმა კორტს საგანგაშო სიგნალის მიღებიდან 10 წუთის შემდეგლა მიაღწიეს, შტეფიმ სველი პირსახოცით თავად შეუხვია ბეჩავ მეტოქეს ფეხი და ყინულიც ბლომად დაატანა, თავად კი სავარჯიშოდ გასწია. ჰუსაროვა სამშობიაროდან ნათხოვარი ეტლით წაასვენეს, სველი პირსახოცი კი ამავე ყაიდაზე ასაქმა მაიქლ ჩანგმაც (აშშ, 2), ვინაც სიცხით გულწასულ ბურთის მიმტან გოგოს უშველა.

მეორე დღეს, სამშაბათს ვაჟმა განთესილებმა მხოლოდ იან სიმერინკი (ჰოლანდია, 13) მოისაკლისეს, ვისაც კრისტიან რუუდმა (ნორვეგია) 3:6, 4:6, 7:5, 6:2, 10:8 მოუგო. სხვებმა მოიგეს: სამპრასი (1) — დინუ პესკარიუ (რუმინეთი) 6:2, 6:4, 6:2; გორან ივანიშევიჩი (ხორვატია, 3) — ბენ ელვუდი (ავსტრალია) 6:2, 7:5, 6:3; ვეინ ფერერა (სამხ. აფრიკა, 8) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:3, 6:2, 6:2; მარსელო რიოსი (ჩილე, 9) — პეტრ კორდა (ჩეხეთი) 7:6 (7-4), 6:3, 6:3; ალბერტ კოსტა (ესპანეთი, 10) — პატრიკ რაფთერი (ავსტრალია) 7:5, 6:2, 7:5; ჯიმ კურიე (აშშ, 11) — შენგ სხალკენი (ჰოლანდია) 6:7 (4-7), 6:3, 4:6, 6:1, 8:6

ავსტრალიის ორგზის ჩემპიონ კურიეს (1992-93) მწვრთნელობიდან დაუთხოვია ხოსე იგერასი და ჰაროლდ სოლომონს შეამხანაგებია. ჯიმი მარათონული მატჩების თამაშითაა ცნობილი. ახლაც ოთხი საათი დაყო კორტზე, ამასთან ბოლო ხელში 5:1 რომ იგებდა, მატჩ-პოინტიც გაანიავა.


„სარბიელში“

რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ

95 26 90


ქალმა განთესილებმაც გაიჭეჭყილეს: არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი, 2) — გლორია პიციკინი (იტალია) 6:4, 6:4; მარტინა ჰინგისი (შვეიცარია, 4) — ბარბარა რიტნერი (გერმანია) 6:1, 7:5; ანკე ჰუბერი (გერმანია, 5) — ემი ფრეზერი (აშშ) 0:6, 6:2, 7:5; ლინდზი დავენპორტი (აშშ, 7) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:1; ირინა სპირლეა (რუმინეთი, 8) — ნაოკო კიძიმუტა (იაპონია) 6:2, 6:4; კარინა ჰაბსუდოვა (სლოვაკეთი, 9) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:1, 6:2; მერიჯო ფერნანდესი (აშშ, 14) — ლაურა გოლარზა (იტალია) 6:2, 4:6, 6:2; ჩანდა რუბინი (აშშ, 15) — რადკა ზრუბაკოვა (სლოვაკეთი) 7:6 (7-2), 6:3. გავარდა მხოლოდ ივა მაიოლი (ხორვატია, 6), ვისაც შვეიცარელმა პატი შნაიდერმა 7:5, 6:1 მოუგო.

ამ დღეს 16 წლის ჰინგისმა 4-წლიან, 10-მილიონიან კონტრაქტს მოაწერა ხელი სპორტული ტანსაცმლის ფირმა „სერჯო ტაკინისთან“. მარტინა რიტნერთან მეორე ხელს ერთი პირობა 1:4 აგებდა; იჭინჭყლა და ჩოგანი მოისროლა, რისთვისაც გააფრთხილეს; მაინც რომ გაიმარჯვა, ზვიადად შენიშნა, პირველ წრეში განუთესელთან რომ წამეგო, ცუდი იქნებოდაო.

ჰინგისმა შაბათს, სიდნეის შეჯიბრის ფინალში 20 წლის ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი დაამარცხა. 24-ე ჩოგან ჯენის 69 უნებლიე შეცდომა მოუვიდა, კიდევ წააგო, ამჯერად თანამემამულე ჯოლინ ვატანაბესთან (78-ე) 2:6, 6:3, 4:6 და საშინლად ატირდა. კაპრიატის იგივე დამართნია ამ ოთხი წლის წინაც, მელბურნულ მეოთხედფინალში დამარცხების შემდეგ.

**გუშინ**, მესამე დღის პირველ ნახევარში ცუდი ამბავი შეიტყო გრაფმა: მანჰაიმის სასამართლოში მთავარ ბრალმდებელ ჰუბერტ იობსკის მამამისი პეტერის 6 წლითა და 9 თვით დატუსაღება მოუთხოვია.

შტეფი უქეიფოდ შეიქნა და ჯერ 0:4, მერე კი 2:5 აგებდა ლატვიელ ლარისა ნილანდთან (ყოფილ უკრაინელ სავჩენკოსთან). დიდ ჩემპიონს ცეცხლის შენთება ჭირდებოდა. საამისო საბაბიც იოლად იპოვა: მსაჯს მავანი გადაწყვეტილების გამო დიდხანს ედავა, იყვირა, გაბრაზდა, ათამაშდა, 7:5, 6:2 გაიმარჯვა და მესამე წრეში გავიდა. დავენპორტმა (7) დაამარცხა ფლორა პერფეტი (იტალია) 6:2, 7:5. პირსი 22 წლისა მოიყარა და 6:2, 6:2 ძლია ნატალია მედვედევა (უკრაინა).

ვაჟთა შეჯიბრში ჩანგმა (2) დაამარცხა რიჩი რენებერგი (აშშ) 6:3, 7:5, 6:1, მალივაი ვოშინგთონმა (აშშ) — სარქის სარქისიანი (სომხეთი) 6:1, 6:0, 6:2; რიოსმა (9) — მაიქლ ჯოისი (აშშ) 6:0, 6:4, 6:2; მაგნუს გუსტაფსონმა (შვედეთი, 12) კი 6:3, 6:7 (6-8), 4:6, 4:6 წააგო 29 წლის მობილიარდესა და თავგადაკლულ მწეველ კარსტენ ბრააშთან (გერმანია), ვისაც რამდენიმე ოპერაცია გადაუტანია და კლასიფიკაციაში 488-ე ადგილამდე დაშვებულა.

## თხილამურები

# ტომბა სხვა იყო!

გიგანტურ-სლალომში კარი ისაა, ვინც ერთ სეზონში ალტა-ბადიაში (იტალია) გაიმარჯვებს კრანსკა-გორაშიც (სლოვენია) და ადელბოდენშიც (შვეიცარია). ამგვარი მატივი არ რგებიათ არც 46 გიგანტური სლალომის მომგებს, ლეგენდარულ შვედ ინგემარ სტენმარკს, არც ლუქსემბურგელ მარკ ჟირარდელისა და არც შვეიცარელ პირმინ ცურბრიგენს. იტალიელი ალბერტო ტომბაა ის ერთადერთი, ვისაც გიგანტურის დიდი სლემი მოუხვეჭია.

წელს ამისივე შანსი გაუჩნდა შვეიცარელ მიხაელ ფონგრენიგენს, გიგანტურის მსოფლიო თასს რომ ლიდერობს და ბოლო 14 სტარტიდან 7-ჯერ გაუმარჯვია. სამშაბათს, ადელბოდენში, პირველი ცდის შემდეგ მას საუკეთესო შედეგიც ჰქონდა, მაგრამ საბოლოოდ მაინც მეორე ადგილზე დარჩა.

გაიმარჯვა ნორვეგიელმა ხეტილანდრე ომოდტმა, ვინც ფონგრენიგენთან 0,33 წამს აგებდა, მაგრამ ბოლოს 0,17-ით აჯობა. მესამე პრიზიორი — ავსტრიელი ანდრეას შიფერერი გამარჯვებულს 0,44-ით ჩამორჩა, აბსოლუტური მსოფლიო თასის მფლობელი, ნორვეგიელი ლასე ხიუსი კი მე-7 ადგილზე გავიდა (0,86). ახალ წლამდე მან მძიმე გრიპი გადაიტანა და სამი კვირა გაუცდა.

ამავე მიზეზით ისევ არ უასპარეზია ტომბას. ფონგრენიგენს რომ მოეგო, დიდი სლემის გარდა თითქმის დაიბევებდა გიგანტურის მსოფლიო თასის მფლობელის სარგო ბროლის გლობუსსაც, რაკი ამ სახეობაში მარტამდე შეჯიბრი აღარაა და ორი ეტაპიღაა დარჩენილი.

ომოდტი 25 წლისაა. 22-სას ყველა ტიტული მოპოვებული ჰქონდა, მაგრამ ბოლო სამი წელია მუხლის ქრონიკულმა ტრავმამ გატანჯა და ამ სეზონშიღა დაიბრუნა ძველი ფორმა.

ომოდტმა მე-13-ედ მოიგო ეტაპი, მეექვსედ კი — გიგანტური სლალომი. ექვსი გიგანტურის ჯამში ფონგრენიგენს 460 ქულა აქვს, ომოდტს — 301, ავსტრიელ ჰანს კნაუსს კი, ადელბოდენში რომ დაეცა, — 280.

**მსოფლიო თასი (18 ეტაპის ჯამი): ფონგრენიგენი 577 ქულა; ომოდტი 551; თომას სიკორა (ავსტრია) 482; კნაუსი 468; კრისტიან გედინა (იტალია) 415; გიუნთერ მადერი (ავს) 401; ლიუკ ალფონი (საფრანგეთი) 397**

**ერთა თასი (ყველა ვაჟისა და ქალის მონაგართა ჯამი): ავსტრია 5 779 ქულა; იტალია 3 094; შვეიცარია 3 011; საფრანგეთი 2 426; გერმანია 2 348**


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტი მაია აბზიანიძე

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29


## კრივი

# დონ კინგის საუფლოში



რეფერი ვილაიმ კონორსი და მენეჯერი დონ კინგი ჰენრი აკინვანდეს ვბო-ის საჩემპიონო სარტყელს უკეთებენ

რეიტერი ნეშვილიდან

წინა კვირის ბოლო მენეჯერთა მენეჯერ დონ კინგის საბრძანებელში დიდი აქტიობით გამოირჩა.

თითქმის გადაწყდა, რომ კინგის შეგირდის — მაიკ ტაისონისა და ასოციაციის (ვბა) ამჟამინდელი მძიმეწონოსანი ჩემპიონის, ნოემბერში ტაისონის გამლახველი ევანდერ ჰოლიფილდის ხელახალი შერკინება გაიმართოს 3 მაისს, ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრანდ-ჰოტელში“. თარილის გამო აზრი სასტუმროსათვის უკითხავთ. ჰოლიფილდის პრომოუტერ დინო დუვას ივნისი ერჩივნა, მაგრამ მაინც კომპრომისი უმჯობინებია.

9 ნოემბრის ჩხუბისთვის ტაისონს 30 მილიონი მისცეს, ჰოლიფილდს — მხოლოდ 11 მილიონი. დუვას თქმით, ახლა პირიქით იქნება. დინო ზუსტ თანხას არ ასახელებს, მაგრამ აცხადებს, ჰოლიფილდს კრივის ისტორიაში უდიდესი ჰონორარი ერგებაო.

კინგი ტაისონს უკვე 15 მარტს უპირებდა რინგზე დაყენებას, რათა საჰოლიფილდოდ გაეხურებინა, მაგრამ ზემოთხსენებული ოტელი გაძალიანებია, რაკი ტაისონთან დადებული ექვს-შერკინებიანი კონტრაქტიდან სამასპინძლო ორი ბრძოლაღა დარჩენია და ისინი რაღაც მოთელვისათვის არ ემეტება. ჰოდა, კინგმაც განაცხადა, რომ 15 მარტის სეირის თვალი ფედერაციის (იბფ) ჩემპიონ მაიქლ მორერისა და მეხუთე პრეტენდენტ ვოგან ბინის შებმა იქნება.

კინგი დუვას ვბა-ს ჩემპიონობის გამო კი მოურიგდა, მაგრამ საბჭოს (ვბპ) საქმეებში ემდურის. დუვა ბრიტანელი ლენოქს ლუისის პატრონიცაა, კინგის შეგირდებში კი ოლივერ მაკქოლიც ურევია. ორივენი ვბპ-ის ექს-ჩემპიონები არიან: მაკქოლმა 1994 წლის სექტემბერში ნოკაუტით დასცა ლუისი, მაგრამ ერთი წლის მერე თავად ქულებით წააგო ბრიტანელ ბრუნოსთან, რომელიც შარშან მარტში ტაისონმა გალახა.

რაკი კინგმა ტაისონს ვბპ-ის სარტყელზე ხელი ნებით აღებინა, ტიტული ვაკანტურია. სათანადო ბრძოლის გამართვის უფლება აუქციონით კინგს ერგო, მაგრამ მერე დონმა ფეხი რომ აითრია, სასამართლომ ორგანიზაცია დუვას გადააბარა. ჰოდა, ახლა კინგი დინოს აფერისტობას საჯაროდ აბრალებს და იმუქრება, თუკი დუვა ფინანსურ გარანტიაზე ხელს დროულად არ მოგვიწერს, მაკქოლს 7 თებერვალს, ლას-ვეგასის „ჰილტონის“ რინგზე ვერ იხილავთო.

კინგმა შაბათს ნეშვილში (ტენესის შტატი) უკვე გამართა ერთი შოუ. მთავარი შერკინება ორგანიზაციის (ვბო) სარტყლისთვის იყო: ერთმა ბრიტანელმა — 31 წლის მძიმეწონოსანმა ჩემპიონმა ჰენრი აკინვანდემ ერთხმად (ორი მსაჯის აზრით 120-108, მესამეს თვლით კი 119-110) დაამარცხა მეორე — 28 წლის პრეტენდენტი სქოთ ველჩი, რომელიც ბრძოლას ყოველნაირად გაურბოდა, ორჯერ კი მეტოქეს თავიც კი აძგერა. ველჩი ასე მოქცეულა შერკინების წარდგენის დროსაც.

ხალხმა მოკრივეებს ქოქოლა დააყარა. 32 ბრძოლაგადახდილი აკინვანდე კვლავაც უძლეველია. კინგს მისი დიდი იმედი ჰქონია, ესაო და ვისაც გენებოთ, გეკრივებათო.

ვალერი ჯიქია